1988

645/1988/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

# 1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

388/2

# ნაშკითხეთ პატარებს

## მსურს კეთილი იყოს ყველა

ო, რა ტკბილი არის კენკრა!
ფიქრობს ჩიტი, ნელა
კენკავს.
კეთილია ნაკადული,
ველ-მინდვრებს რომ გადაუვლის.
კეთილია მზე ცხრათვალა,
მისი სხივი ვინ დათვალა?!
კეთილია დილის ცვარიც
და ეს ტურფა ყვავილნარიც.
...მეშინია, როცა ელავს!
მსურს კეთილი იყოს ყველა!

## მიმოზა

მეძინება და ვიძინებ,
თქვენც ძილს გირჩევთ,
დობილებს,
ღამით ლამაზ სიზმრებს
ვნახავ
დილით, — შეგატყობინებთ.

**ნუნუ ძამუკაშვილი**

## ასფურცელა

წიგნს შლის ილო, ტირის თანაც,
თვალზე ცხელი კურცხლები აქვს,
„ასფურცელას“ დამპირდნენ და —
აქ კი ათი ფურცელია.

## მექი

ლეკვს რომ ვეღარ დაეწია,
თავს იმართლებს მექი,
იმას ოთხი ფეხი აქვს და
მე მაქვს ორი ფეხი.

## თევზი

გიამ თევზი დაიჭირა,
პატარა და მფრთხალი.
„სთქვი რამეო, ახლაც პირში
ხომ არ გაქვსო წყალი“.

## შური

შურით გულზე სკდება იხვი,
ქათამი და ბეღურა:
ზოგიერთი ბავშვი თურმე
სწერსო „ბატისფეხურად“

## როგორი ბიჭია?

ყველა ამბობს: ეს რა ვნახეთ,
რა ყოფილა ალეკო,
ორი სიტყვის დასაწერად
ცხრა რვეული არ ეყო.

**ალექსი ხუციშვილი**



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

---

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

---

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, პეტრე ქლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეჭირული, ნინო ჯავახიშვილი.

---

ტექრედაქტორი ნანული გუკია

---

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საკავშირო ალკკ მე-20 ყრილობის დელეგატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი რუსუდან ფეტვიაშვილი

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოების
საბავშვო
ბაღში



მონტინის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მკვიდრადნაგები ორსართულიანი შენობა დგას. ეზოში საქანელა, საცურაო აუზი, კორტები მოუწყვიათ. ირგვლივ სისუფთავე და სიმყუდროვეა. ეტყობა, ბაღის გამგე ნანა კოკაია კარგი ხელმძღვანელია.

ადრიანი დილაა და პაწაწინა გოგო-ბიჭები ხელჩაკიდებული მოჰყავთ მშობლებს, რათა საიმედო ადამიანებს ჩააბარონ, თვითონ კი გულდამშვიდებულებმა წარმოებას მიაშურონ. ბავშვებს ჭიშკართან ელოდება აღმზრდელთა თბილი ღიმილი.

96-ე საბავშვო ბაღში 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები იზრდებიან. სულ ადრე შეუფერებელ მომცრო სახლში მიიღეს აღსაზრდელები, ორმოც წელიწადს იყო ამ საბავშვო ბაღის გამგედ ეპრაქსია ხუნდაძე. 1937 წელს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობამ ბაღის სასწრაფო მშენებლობის გადაწყვეტილება მიუღია. მუშების აქტიური მონაწილეობით, მათი დაუზარელი შრომით საბავშვო ბაღი 164 საათში აშენებულა. ახლა სწორედ ეს ორსართულიანი შენობაა, მონტინის ქუჩის ერთ კუთხეს რომ ამშვენებს.

საბავშვო ბაღში ოთხი ქართული და ერთი რუსული ჯგუფია, რომლებშიც სხვადასხვა ეროვნების 130 ბავშვი მაღალკვალიფიციური აღმზრდელ-პედაგოგების მზრუნველობით იზრდება.

ლიზა შურღულაია 40 წელია ბაღში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობს, დიდი გამოცდილება აქვს და დილაზეიმებიც ბევრჯერ გაუმართავს, ახალგაზრდა პედაგოგები მისგან კარგ გაკვეთილებს იღებენ.

სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის აქ ბევრი რამ კეთდება. ბავშვებს ყოველი დილა გამამხნევებელი ვარჯიშით ეწყებათ. მათ სხვადასხვა მარტივ სპორტულ თამაშობებსა და ვარჯიშებს ასწავლიან. ამას გარდა კვირაში ორჯერ ნორჩებთან რიტმული ტანვარჯიში ტარდება. ცეროდენები მუსიკის ხმას რიტმში ჰყვებიან და დიდებულად ასრულებენ აერობიკის მარტივ ილეთებს. სამეცადინო ჯგუფებში ეუფლებიან ხატვის, ლექსის თქმის, თხრობის ელემენტარულ ხერხებს.

დღეს ხათუნა და კახა მორიგეობენ, მაგიდებს აწყობენ, შემდეგ ყველანი მათთვის მიჩენილ ადგილებს მიუსხდებიან და გემრიელად მიირთმევენ საუზმეს. ჩიტუნებს საკენკს უყრიან, ოთახის ყვავილებს რწყავენ. სათამაშოები წესრიგში მოჰყავთ. ეს ხომ შრომითი ჩვევების გამომუშავებაა, რასაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს.

უფროს ჯგუფში მუსიკის მეცადინეობაა. ლია დეიდა როიალს უკრავს და ისმის ბავშვთა წკრიალა ხმები. ნორჩები უმღერიან დედას, მასწავლებელს, სამშობლოს.

უმცროს ჯგუფში ლამარა დეიდა ლექსებს უკითხავს პატარებს. „კიკლი, კიკლი კიბესა...“ ზეპირად ამბობს სამი წლის ნუკრი, „ყურცქვიტების ციხესა“ — აგრძელებს მაია. პატარებს უყვართ მაყვალა მრევლიშვილის საბავშვო ლექსები.

18723



აღმზრდელ-პედაგოგი ლიზა შურღულაია ბავშვებთან





დავით იაკობაშვილის ფოტოები

თამრიკო სამი დათვის ზღაპარს უამბობს თანატოლებს. ბავშვები ხმაგაკმენდილები უსმენენ. მარინე მასწავლებელი იღიმება, ეტყობა მოსწონს ცეროდენას თხრობა.

რუსული ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი ფრიდა მუშლიანი ბავშვებს ალერსიანად ექცევა. ამიტომაც უყვართ ფრიდა დეიდა აღსაზრდელებს. ახლა რადიო ჩაურთავთ და ცეკვავენ რიტმში, ლამაზად, მოხდენილად. ეს მათთვის ფიზიკური ვარჯიშიც არის და მშვენიერი სანახაობაც.

ელისაბედი უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებს სასკოლოდ ამზადებს.

ბაღიდან ექვსი წლისანი ლენინის რაიონის მეორე, მესამე, მეოთხე საშუალო სკოლებში მიდიან სასწავლებლად.

აღსაზრდელები 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხშირი სტუმრები არიან. უფროსი ჯგუფის ბავშვები წარმოების მუშებისათვის, ომის ვეტერანებისათვის კონცერტებს მართავენ, საინტერესო მონტაჟებს წარმოადგენენ.

სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით ბაღში ყოველთვის ზეიმია. სტუმრად მშობლებს იწვევენ. ფერად-ფერად სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები გაზაფხულის ყვავილებს გვანან. და იწყება მათი შემოქმედება...

მუშათა შვილები ზაფხულობით მანგლისში ან სურამში ისვენებენ. ერთი სიტყვით, მათ არაფერი არ აკლიათ, მაგრამ... საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობა მაინც მოუძველდათ, ახლა თანამედროვე სტილის ახალი შენობა სჭირდებათ, რაზეც ქარხნის ხელმძღვანელობამ უნდა იფიქროს.

96-ე საბავშვო ბაღის შთაბეჭდილებათა წიგნში მშობელთა მრავალი ჩანაწერია: „ლამარა სანაძის სიმკაცრე და ალერსი ერთმანეთშია შერწყმული, ამიტომაც უყვართ იგი ბავშვებს და ცდილობენ არაფერი ჩაიდინონ სასაყვედურო". „ლია კორძაძე ჩვენს შვილებს ხელოვნების, მუსიკის სიყვარულს უნერგავს"... „ღვაწლმოსილ ლიზა მასწავლებელს მისი აღზრდილები დღესაც პატივისცემით იხსენიებენ". „ბაღის გამგე ნანა კოკაია გამოცდილი, მომთხოვნი, გულისხმიერი ხელმძღვანელია. გმადლობთ, ქალბატონო, ჩვენს შვილებზე დედობრივი ზრუნვისათვის"...

პირველი მასწავლებელი — რა დიდია მისი დანიშნულება! იგი ხომ მუდმივი თანამგზავრია ცხოვრების გრძელ გზაზე!

ეკა გაშელეიშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის

# მესხეთის ცის ქვეშ

ბები, რამ ჩამოგიყვანა აქ, ამ სიბერის ჟამს, იქაურობას როგორ შეელიე მეთქი, — შევეკადრე ერთ აჭარელ ბერიდედას, მესხეთს რომ დაესახლა თავის ნაგრამთან ერთად.

მიწამო. — ზუსტად ასე მითხრა, — მიწამ ჩამომიყვანაო.

მიწა ხომ ოდითგანვე ქართველისათვის ბევრზე მეტს ნიშნავდა... ის იყო მისი მარჩენალიცა და სალოცავიც. ქართველი კაცი ბუნებით მიწის კაცი იყო, თოხისა და ბარის კაცი. მიწა-მარჩენალისადმი მოწიწებული დამოკიდებულება თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ხალხიც ამ თვისების გამო უბოროტო იყო და მშვიდობისმოყვარე.

დღევანდელმა ქართველმა გლეხმა მრავალი და მრავალი მიზეზის გამო თითქოს გული აიყარა მიწაზე. სოფელს მოაკლდა ხელმადლიანი მშრომელი, მიწის მესაიდუმლე. ბევრმა ქალაქისაკენ იბრუნა პირი. ჰოდა, ასეთი მიგრაციის ჟამს რომ გეტყვიან, — მიწამ ჩამოგვიყვანაო, მართლა გაგიხარდება კაცს.

აჭარელი კაცის შრომისმოყვარეობა საერთოდ ცნობილია. ეს უფრო მეტად მაღალმთიან აჭარაში იგრძნობა. იქნებ იმიტომაც, რომ აქ მიწა ცოტაა, მისი შემყურე კი — ბევრი. თავისსარჩენად შეუძლებელი უნდა შესძლო, ყოველი გოჯი სავარგულისა უნარიანად და ნაყოფიერად გამოიყენო, მაგრამ როცა თავს ზევით ძალა არაა... ამიტომაც იყო, რომ აჭარელთა ერთმა ნაწილმა საკუთარი სურვილით დატოვა მშობლიური ადგილები და მესხეთს დასახლდა, აქ კი, იცოცხლეთ, ბევრია მიწა — ნათურქალნაოხარი, ნატანჯი და ნაწვალები, მაგრამ ნოყიერი და გლეხის დაუღლელი მარჯვენის მომლოდინე.

ეს საქმე, რომ იტყვიან, სულზე მისწრება იყო ორივე მხარისთვის — ღონივრად გაიშალნენ მთიან აჭარაში დარჩენილნი, ხოლო მესხეთში გამოცოცხლდა ქვად და ხრიოკად ქცეული ნასოფლარები.

მესხეთში თავიდან სამასამდე ოჯახი დამკვიდრდა, მერე თანდათან სხვებიც შეემატნენ. აღსდგა ნასოფლარები: ოსკერია, მირაშხანი, გულსუნდა; სოფლებში — ოშორაში, ოთასა და რუსთავში ახალი უბნები გაჩნდა.

მას შემდეგ ექვს წელზე მეტი გავიდა. ნეტავ როგორ ცხოვრობენ ჩამოსახლებულები? თუ შეეგუენ ახალ საცხოვრებელს, ახალ მეზობლებს და პირიქით, ძველები თუ იყვნენ კმაყოფილები ახალმოსახლეებით. ასეც ვიკითხეთ პარტიის ასპინძის რაიკომში. თქვენი თვალით ნახეთო, — გვითხრეს. აგერ, თუ გნებავთ ოშორაში წაბრძანდით, ნახევარი საქართველო ეტევა მაგ სოფელში — მესხებიც ცხოვრობენ, იმერლებიც, მთიულებიც და აჭარლებიცო, თანაც სასიკეთო ძვრები ხდება კოლმეურნეობაში, ადრე ჩამორჩებოდა და ახლა წინ წამოიწია, სოფელს ახალგაზრდა თბილისელი კაცი თენგიზ გიორგობიანი თავკაცობსო...



ქუქუნა პაპიძე და თალიკო ბოლქვაძე აჭარელ ბავშვებთან

ერთი სიტყვით ოშორაში წავედით და ძალიანაც მოგვეწონა ეს კოპწია სოფელი თავისი ოშორულათი. ოშორულა პატარა მდინარეა. მოლიკლიკებს თავისთვის და სოფელს შუაზე ჰყოფს. ჰაერიც მისი შემწეობით ისეთია, მკვდარს გააცოცხლებს.

სოფელში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მედეა აფციაური გვმასპინძლობს.

— რომ იცოდეთ, როგორ გახალისდა აქაურობა, რაც აჭარლები ჩამოვიდნენ, — გვიყვება მედეა, — სულ ორმოცდაათი ოჯახი ჩამოსახლდა. ახლა ას ორმოცდარვა კომლი ცხოვრობს სოფელში. აჟივჟივდა ოშორა, იმდენი ბავშვი მოგვიგროვდა; სოფელი სოფელს დაემგვანა. მრავალშვილიანები ჩამოგვივიდნენ ბლომად. მერე რამდენი რამ აშენდა: კლუბი, ბიბლიოთეკა, კანტორა, სკოლა. ისეთი კარგია ჩვენი სკოლა, ავ თვალს არ ენახვება — კლას-კაბინეტები, ლაბორატორიები, ვრცელი სპორტული დარბაზი — ყველაფერი კარგად, მშვენივრად არის მოწყობილი. გინდათ განახოთ?

...მართლაც მშვენივრად გამოიყურებოდა ორსართულიანი ქათქათა შენობა აყრიამულებული ბავშვების რკალში.

გავყევით სოფლის ახალმოსახლეთა ორღობეებს. ამაყად იდგნენ დიდი სახლები.

— იცით, ახლად რომ ჩამოვიდნენ, აი ასეთ ბინებში ცხოვრობდნენ, — დაგვანახა მედეამ ერთი პატარა, ფარღალალა ქოხი, — ასეთი მშრომელი ხალხის მნახველი არა ვარ. ისეთი რწმენით აშენებდნენ სახლებს, ისე ყოჩაღად!.. ნახეთ ერთი მათი კარ-მიდამო, ხომ უქცევიათ ბაღნარად. ჩვენ, ძველებს გვჯობნიან, მიწის დიდი სიყვარული აქვთ და იმიტომ.

წამოდით, ახლა მთიულებთან და იმერლებთან დამოყვრებული აჭარელთა ოჯახი უნდა გაგაცნოთო, — ალიოშა და ნინა პაპიძეების სახლისკენ გაგვიძღვა მედეა. ახალი ჩამოსულები ყოფილან პაპიძეები, დათოს იმავსოფლელი სახელაშვილების ნინო რომ შეურთავს ცოლად. ცოტა ხანში ოჯახს გულთამზე ხერთვისში გაუთხოვებია მთიულ ქავთარაძეზე.

შევაღეთ კუტიკარი და... მარტო ნინო შემოგვეგება. შეწუხდა ქალი, — სახლში არ არიან ჩვენებიო, — მოგვიბოდიშა.

პაპიძეების სახლთან ახლოს გრძელ მორზე ახალგაზრდა ქალები ჩამომსხდარიყვნენ, ბავშვები ჩაესვათ კალთაში და საუბრობდნენ. ჩვენც მათთან მივედით, გავეცანით. ვთხოვეთ, ეამბნათ, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ შეეჩვივნენ აქაურობას. ძალიან კარგად ვცხოვრობთ, აქაური ხალხი კეთილია, როგორც შეუძლიათ, გვეხმარებიან, არაფერი გვაქვს სამდურავიო, — იღიმებოდნენ ქუქუნა პაპიძე, თალიკო ბოლქვაძე და გუგული პაპიძე.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ამას ერთი ჰყავს, — გუგულიზე მიგვითითა ქუქუნამ, — ჯერ ოცი წლისაა, რა ეჩქარება. ისე, ნუ ეხუმრებით, რაიონული საბჭოს დეპუტატია.

— სად მუშაობთ? — ვკითხე გუგულის.

— მწველავია, — ისევ ქუქუნამ განაგრძო, — მე და თალიკო კოლმეურნეობაში ვმუშაობთ. მე ორი შვილი მყავს, ამას — ოთხი.

— მერე ამ პაწიებს ვის უტოვებთ ხოლმე?

— ჩვენ დედამთილები გვეხმარებიან, თალიკომ იცითხოს!

ჩემი დედამთილიც ინგააო, — გაიცინა თალიკომ და იქვე ჩაცუცქულ გოგონას, რვა წლისა რომ არც იქნებოდა, თავზე ხელი გადაუსვა.

გოგონამ თავისი სიყოჩაღის დასტურად პატარა ძმას ხელი დაავლო და აიხუტა, თან დიდი ქალის სერიოზულობით გვისმენდა. სულაც არ მეძნელება ძმის გაზრდაო, — სახეზე ეწერა ინგას.

— საწუხარი არაფერი გაქვთ, სულ რომ კარგს იძახით? — ვკითხე ქალებს.

— საწუხარი ჩვენს მტერს არ ჰქონდეს. ცოტა-ცოტა საწუხარი ყველას გვჭირდება, მაგრამ საწუწუნო არაფერი გვაქვს და ტყუილად ხომ არ მოვიგონებთ. ჩამოვედით და ისე თბილად მიგვიღეს, ახალმოსახლის სიძნელეები არც გვიგრძვნია, მხარში ამოგვიდგა ქვეყანაცა და სოფელიც. ჩვენ უმადურები კი არ ვართ, გენაცვალე, ვიცით სიკეთისა და მადლის ფასი, სამდურავს რაზე ვიტყვით.

— სამდურავს მე ვიტყვი, — თქვა მედეამ, — სოფელს საბავშვო ბაგა ჰჭირდება. ოცდახუთი წამოჩიტული ბავშვი გვყავს, მათ ჯერ ბაღში არ იღებენ, ოცდახუთი ქალი კი სამუშაოს სცდება.

ჰოო, საბავშვო ბაგა რომ აგვიშენონ, კაი იქნება, იმედიანად ვიქნებით და ბევრ შვილსაც გავაჩენთო, — სიცილ-სიცილით წამოიშალნენ ქალები.



მერე, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე თენგიზ გიორგობიანი ვნახეთ და საბავშვო ბაგის პრობლემაც შევახსენეთ, — რაღაც უნდა ვიღონოთ აუცილებლად, მუშახელი სოფელს ისედაც უჭირს და ოცდახუთ ქალს ეხუმრებით?! ოშორაში 148 ოჯახი ცხოვრობს, კოლმეურნეობის წევრთა რიცხვი კი 91 არ აღემატება, თუმცა ადრინდელთან შედარებით ეს მოზრდილი ციფრიაო.

თენგიზ გიორგობიანს, თბილისელ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც მთელი ოჯახი თან ჩამოიყვანა თბილისიდან (მეუღლე ციური გიორგობიანი რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-გინეკოლოგად მუშაობს), ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ხვდა წილად. აქ ყოველ წელს იცვლიდნენ თავმჯდომარეს, ის კი არა, ზოგი ერთ წელსაც ვერ ძლებდა. თენგიზმა გამოცდას გაუძლოო, — ხუმრობენ ოშორელები, — ორ წელს გადააჭარბაო. რომ ვთქვათ, ამ ორ წელიწადში აყვავდა კოლმეურნეობაო, მართალი არ ვიქნებით, ისე კი მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა. სულ ცოტა ხნის წინ სოფელში მწყემსად წასვლა არავის ეწადა, ახლა ახალგაზრდა მეცხვარეთა ბრიგადა ჩამოყალიბდა. ბიჭები — ამირან ბოლქვაძე, ენვერ ცეცხლაძე, თამაზ შავაძე, გურამ ლორჯომელაძე, ოთარ პაპიძე და ნუგზარ ბოლქვაძე საქმეს გულიანად შეეჭიდნენ.

კოლმეურნეობამ შარშან სახელმწიფოს, ნაცვლად 280 ცენტნერი ხორცისა, 354 ცენტნერი ხორცი მიჰყიდა, მაგრამ აი, მატყლისა და რძის ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულეს, სამაგიეროდ ხილის მოსავალმა სამჯერ და მეტად გადააჭარბა დავალებას. ციფრები ციფრებად დარჩეს და — თავმჯდომარეს ახლაც ძალიან უჭირს ხალხის სამუშაოზე გაყვანა. ნორმატივები ძალზე დაბალიაო, — გვითხრა თენგიზმა, — კაცი საშუალოდ თვეში 70 მანეთს რომ აიღებს, გული გაუტყდება, აბა რას იზამს. აი, მაგალითად — ყველაზე საძნელო საქმედ თიბვა მიმაჩნია, მთიბავებს კი ანაზღაურება ძალზე დაბალი აქვთ, თუმცა ჩვენი ბიჭები საქმეს მაინც არ ღალატობენ.

სოფელს ბევრი სხვა პრობლემაც აწუხებს. ახლა შიდა გზების მოხრეშვას აპირებენ, ფერმები სოფლის გარეთ უნდა გაიტანონ. ამ ზაფხულსვე უნდა დაამთავრონ აბანოს მშენებლობა (ბიჭები უსასყიდლოდ აშენებენ)... რამდენი რამ არის გასაკეთებელი...

...ცხოვრობს ოშორა თავისი შემომატებული შვილებით, თავისი ტკივილებითა და სიხარულით. დაუყვები სოფელს და ბევრი ვინმე შემოგხვდება, ყველა ღიმილიანი და ხალისიანი, სისხლ-ხორცში გამჯდარი ჩვევით — სტუმარს წარბშეკრული ვერ ეჩვენები... აი, ერთი მათგანი — რეზო შავაძე, აჭარელი კაცი, სოფლის მაღაზიის გამგე-გამყიდველი, ექვსი შვილის მამა და ოთხი შვილიშვილის პაპა. პაპობისა არაფერი ეტყობა, ისე ახალგაზრდაა. რეზო იმ ორმოცდახუთ ოჯახს არ ჩამოყოლია, გურიიდან ჩამოვიდა. იქაური ჰაერი ვერ აიტანა ოჯახობამ, აქაური უქეს და...

— რაო, აქაურმა ჰაერმა ხომ არ დაგცადათ? — აი! — მარჯვენა ცერი მაღლა შემართა რეზომ.

— იქნებ თქვენი წყალი გადაესხათ აქაურებს, შვილმრავლობაში მოგბაძონ, მარტო აჭარლებითა და სვანებით ხომ არ უნდა მოგვწონდეს თავი, — ვუთხარი რეზოს.

— ეჰ, სვანებს ცუდი წელი დაუდგათ შარშან, ძალიან ცუდი!.. — ეს ისეთი გულისტკივილით თქვა რეზომ, დიდი წუხილი ნათქვამზე მეტად სახეზე და ხმაზე უფრო დაეტყო. გული ყელში მოგვებჯინა.

— „ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო"...

ეს დიდი ფიქრი გულში ყველას ღრმად გვქონია ამოჭრილი თურმე და დიდი გაჭირვებისას მტკივნეულად გვახსენებს თავს... ახ, ნეტავი სვანებიც ჩამოსულიყვნენ მესხეთში.

...მესხეთმა გულზე მიიკრა თავისი შეჭირვებული შვილები. ან კი სხვანაირად როგორ უნდა იყოს... და მაინც — ამაჩნარევი სიხარულის გარეშე ვერ დაშორდები ოშორას — მინიატურულ საქართველოს, სადაც ყველა აჭარელი სიყვარულით ამბობს:

— ჩვენ აქ ყველანი კარგად ვცხოვრობთ, გენაცვალე!

**მანანა ზარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პერსპექტივით და საინტერესოდ



ცხოვრების ყოველ სფეროში მიმდინარე გარდაქმნები ახალ თემებს გვკარნახობს. ეს თემები კი მართალი, შეულამაზებელი აზრის წარმოჩენას გვთხოვს. ხშირ შემთხვევაში განმსაზღვრელი მკითხველის ობიექტური აზრია.

პირველი მკითხველი: — მთავარია ვთქვათ ის, რაც ძირეულ რგოლში ხდება. ნაკლს არ უნდა ავუაროთ გვერდი, მაგრამ ის ადამიანებიც წარმოვაჩინოთ, რომლებიც ხელს უწყობენ გარდაქმნას.

მეორე მკითხველი: — ეკონომიკური რეფორმის ცენტრში დგას ეკონომისტი. თქვენ კი რატომღაც გვერდს უვლით მას. მართალია, მუშაც დასაფასებელია, ინჟინერიც და ტექნოლოგიც, მაგრამ აბა, ნახეთ ეკონომისტი, ესაუბრეთ მას და საერთოდ წერეთ, ბევრი წერეთ ეკონომისტზე.

ასე ავირჩიეთ თემა.

* * *

ეკონომისტი...

მაგიდაზე ქაღალდების დასტა აწყვია. თითოეულში ბევრი გრაფაა. გრაფები სავსეა ციფრებით, ასტრონომიული ციფრებით... და, ითვლის ეკონომისტი საწარმოს შემოსავალსა და გასავალს. ითვლის გამუდმებით, დილიდან საღამომდე. ასე წარმოგვიდგენია იგი შორიდან. ზუსტი ანგარიში, ანალიზი, ეკონომისტის მუშაობის უმთავრესი და განმსაზღვრელი მხარეა.

ეკონომიკა შემოქმედებითი სამუშაოა, — ამბობს თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის უფროსი ეკონომისტი ციცო სისოშვილი... შემოქმედებითი და საინტერესო, აი, თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: მოდიან და მოდიან მუშები, აინტერესებთ მეურნეობრიობის ახალ პირობებში როგორ დაერიცხებათ ხელფასი, რამდენი ექნებათ პრემია... მიხარია, როცა ისინი ჩემგან კმაყოფილები მიდიან. ასე მგონია, პირდაპირ უნივერსიტეტის მერხიდან რომ მოვსულიყავი, არ მეცოდინებოდა მათი ყადრი.

მიხეული მანქანა-დანადგარი დღესაც საამქროში ეგულება. მიხეული... მისი მუშაობის პერიოდში, ამ 19 წლის წინ რომ დაამონტაჟეს. ახსოვს როგორ უფრთხილდებოდა, უვლიდა, მაშინ ოცითოდე წლისა იყო. ციცო და ლილი სოხაშვილი თითქმის ერთდროულად მოვიდნენ საწარმოში, ერთ საამქროში, ერთმანეთის გვერდიგვერდ შრომობდნენ. ორივენი მგრეხავები იყვნენ. იქვე, მათსავე საამქროში მუშაობდნენ აგრეთვე მოწინავე ფეიქრები: იზა ხარიტონაშვილი, ნაზი ლუნაშვილი, ნუნუ ბერიძე და სხვები.

ერთი წლის შემდეგ ციცო სისოშვილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტი გახდა. მალე ბუღალტრად გადაიყვანეს. მერე — ეკონომისტად. რამდენიმე ხნის შემდეგ კი — უფროს ეკონომისტად დაიწყო მუშაობა.

— ეკონომიკურმა რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა ჩვენი მუშაობის გარდაქმნა, — გვიამბობს ციცო. — წარმოების მუშაობის სიახლე თვითანაზღაურება და თვითდაფინანსებაა. დაინერგა პროდუქციის სახელმწიფო ■ მიღება. ბუნებრივია, გაიზარდა ეკონომისტის როლიც. წარმოება თუ სწორად არ დაიგეგმა, მომხმარებელს ვერ დავაკმაყოფილებთ, ვერ შესრულდება მიწოდების გეგმა სახელშეკრულებო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

— აქამდე თითქოს სათანადოდ არ ფასობდა ეკონომისტის შრომა.

— დიახ, თეატრის კულისებში მიმალულ ხელოვანს ვგავდით.

ახლა? — ახლა ასე არ არის. ახლა ყველაფერი იგეგმება, ყველაფერი სწორ დაგეგმვაზეა დაფუძნებული, ისევე, როგორც იგეგმება მთლიანად საწარმოს, ბრიგადის, საამქროს, უბნის ხელფასის ფონდი, ნედლეული, შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება... ყველაფერი ზუსტ აღრიცხვაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ, როცა გეგმის შესრულება ჭირს, განგაში უნდა ატეხოს ეკონომისტმა, დროულად უნდა შეიყვანოს საქმის კურსში ხელმძღვანელობა, უნდა გამოძებნოს რეზერვები. ყოველ წუთში ვგრძნობთ, რომ საჭირო ვართ, ჩვენს მიერ გამოყვანილი მაჩვენებლები იგზავნება ყველგან. ამით ფასდება კოლექტივის შრომა.

— შეცდომა თუ მოგხვლიათ?

— ჩვენი განყოფილების უფროსი ნადია ნეფედოვა შეცდომის უფლებას არავის მისცემს. მოწესრიგებული ადამიანია, უყვარს სიზუსტე, კონტროლის გაწევა...

— და, მაინც, ალბათ, ზოგჯერ უნებლიე შეცდომაც ხდება....

— რა თქმა უნდა. ზოგჯერ მუშას აღურიცხველად გამოაქვს ნედლეული მეზობელი საამქროდან და აკეთებს თავის საქმეს. ეს დიდხანს უცნობი რჩება ჩვენთვის. მაგრამ შემდეგ, როცა ვანგარიშობთ რამდენი ნედლეული დაიხარჯა თითოეული მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვებისათვის, დიდი შრომა გვიხდება სინამდვილის დასადგენად.

— რა განიჭებთ სიხარულს?

იცით, თუ საწარმო გეგმას ვერ ასრულებს, თითქოს შენა ხარ დამნაშავე, გრცხვენია, გერიდება ანგარიში წარუდგინო ხელმძღვანელობას. გულთან უნდა მიიტანო საწარმოს ავ-კარგი. სულ მუდამ განცდაში ხარ. გეგმა თუ შესრულდა, გიხარია, გიხარია მთელი შენი კოლექტივის მაგიერ, ეს წახალისებაცაა. თუ მოგება იქნა, — მით უკეთესი, უფრო მეტია სიხარული.

— როგორ ადგენთ დღის გეგმას?

— იცით, დილით, ბავშვებს (ქალ-ვაჟი მყავს, 14-15 წლისანი, გოჩა და მაია) სკოლისთვის რომ ვამზადებ, მაშინაც კი ვფიქრობ, სამსახურში, პირველ რიგში რა გავაკეთო, რით დავიწყო საქმე. გზაშიც გავიაზრებ ხოლმე, დღის მანძილზე რა იქნება ყველაზე მთავარი.

— და, მაინც რა არის მთავარი?

— მთავარი ის არის, კოლექტივმა კარგად იმუშაოს, რომ კარგი, ღადებითი ანალიზი გამოვიდეს.

და, შემოივლის საწარმოს ტერიტორიას უფროსი ეკონომისტი ციცო სისოშვილი. შემოივლის თითქოს უჩუმრად, როცა უნდა, რომ წინასწარი პროგნოზი აცნობოს ფაბრიკის დირექტორს ალტოს ქოიავას. შევლის საამქროში, ჯერ უთუოდ სართავში, მთავარი მაინც სართავია, აქ მზადდება ნატურალური პროდუქცია და სწორედ ნატურალური პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს წარმოების სახეს. თვალის ერთი შევლებით თითქოს მეტყველი ხდება ფთილებიცა და თითისტარებიც. ზამთარშიც გაზაფხულის სითბო და ნათელი დგას სართავ საამქროში. წითელსა და ლურჯი ფერის ძაფებს ახვევენ ფეიქრები თითისტრებზე. ზოგჯერ გაზაფხულის ფერებიც სჭარბობს: ღია მწვანე, იისფერი, ვარდისფერი... თვალს გადაავლებს ეკონომისტი მანქანებს და იცის რამდენი კილოგრამი ნართი ექნება დღეს საწარმოს.

— როგორ? — დღეში საშუალოდ საწარმომ 6 ტონა ნართი უნდა გამოუშვას, — ამბობს ეკონომისტი. — ეს იმას ნიშნავს რომ თითოეულმა მანქანამ საშუალოდ ცვლაში 100-120 კილოგრამი ნართი მოგვცეს. თვალს რომ გადავავლებ საამქროს და ვნახავ რამდენი მანქანაა მოცდენილი, ვიცი, ნართის დღიური რაოდენობა რამდენი იქნება და ვეძებთ, სად რა რეზერვია, რომ ერთი საამქროს ჩამორჩენა მეორემ გადაფაროს, ერთმა მეორეს გაუმართოს ხელი. აქამდე ერთი ბრიგადა კარგად მუშაობდა, მეორე — ცუდად. ხელფასს კი ორივე თანაბრად იღებდა, დღეს „გათანაბრება" არ არსებობს. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ზუსტად განისაზღვრება მშრომელთა შრომითი წვლილი. გარდა ამისა, ყველაფრის თავიდათავი ისაა, მომხმარებელმა მოიწონოს და შეიძინოს ჩვენი ნაწარმი. პროდუქციის რეალიზაციაზეა დამოკიდებული საწარმოს ბედიც და მისი ფინანსური მდგომარეობაც. ამიტომ ხარისხზე ზრუნვა კოლექტივის თითოეული წევრის უპირველესი მოვალეობაა.

ძველებურ საანგარიშოსაგან განსხვავებით თავისებურად, მონოტონურად ითვლის ციფრებს გამომთვლელი მოწყობილობა.

— ციცო, თქვენ ახლა რა სამუშაოს ასრულებთ?

— საწარმოს გეგმიური მაჩვენებლის შესრულების პროცენტი გამომყავს.

— როგორ სრულდება გეგმები?

— შარშან ნატურალური პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შევასრულეთ. წლეულს კი, მეურნეობრიობის ახალ პირობებში ერთხანს გაგვიჭირდა მუშაობა. გვაკლია მქსოველები, ახალი დაზგა-დანადგარები გვჭირდება, არის პრობლემები, მაგრამ თანდათან ვძლევთ სირთულეებს. ახალი წლიდან უკვე სრულდება ნატურალური პროდუქციის გამოშვების გეგმა, მიწოდების გეგმა, ზენორმატიული ნაშთი, ბანკის დავალიანება არა გვაქვს... ამიტომ, მოგების ის ნაწილი, რაც ჩვენს განკარგულებაშია, მთლიანად ადამიანის კეთილდღეობას მოხმარდება.

— საინტერესოა ეკონომისტის პროფესია?

— ძალიან... — პასუხი უშუალო და დამაჯერებელია... ყველაფერს დროულად რომ უკეთებ ანალიზს, ამით ხომ კოლექტივს სწორი გზის ძიებაში ეხმარები. გარდა ამისა, თითოეული ციფრის იქით ხომ ადამიანი დგას! ციფრები გვიამბობენ, როგორი იქნება ჩემი საწარმოს ხვალინდელი დღე. გვექნება მოგება? მეტი საცხოვრებელი სახლი აშენდება, უკეთ იცხოვრებენ ნატო ლეჟავა, მარინე საკანდელიძე, ლილი სოხაშვილი ნუნუ ბერიძე და სხვა ფეიქრები.

მათი რაოდენობა ათასამდე აღწევს თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში, ფეიქრების უბანში, ფეიქრების ქუჩაზე...

ლამარა ესართია

## მინიატურები

### ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს სამეგრელოს ბრწყინვალე თავადი სწვევია სტუმრად. მთავარს ნათესავის პატივსაცემად მარულა გაუმართავს. თავადს რჩეულ ცხენებში ჩალისფერი „ამრა" მოსწონებია მხოლოდ. არც დაუფარავს თავისი აღტაცება და უთქვამს იქვე მდგომთათვის.

ახალგაზრდა გლეხს იმ ცხენის მეტი არა ებადა რა თურმე. თავს ურჩევნიაო, ამბოდნენ ხალხში. თავადის სიტყვებს მხედრის ყურამდეც მიუღწევია. მარულა ჯერ დამთავრებული არ ყოფილა თავის ხელით მიუყვანია სტუმრისათვის კოჭმალალი „ამრა".

— ფეშქეშ, ბატონო! — მოკრძალებული ღიმილით უთქვამს ახალგაზრდა აფხაზს. ნირწამხდარი თავადი დიდხანს უარზე ყოფილა.

— ნუ დაგავიწყდებათ, თავადო, რომ თქვენ აფხაზეთში ხართ! — უთქვამს და მდაბლად დაუკრავს თავი.

* * *

მთელ აფხაზეთში განთქმული ყოფილა სილამაზით ასტამურ ძიაფშიფას სასახლე თავისი ვრცელი ბაღებითა და შადრევნიანი პარკით. საიდანღა არ ჩამოდიოდნენ მასთან სტუმრები.

ერთ რუს მხატვარს, რომელიც მასპინძლის „სურათების გალერეას" ათვალიერებდა, განსაკუთრებით მოსწონებია რემბრანდტის ერთ-ერთი ნახატი.

— ფეშქეშ! — უთქვამს გულუხვ ასტამურს და უმალ ჩამოუხსნია სურათი კედლიდან.

### „ძუნწი" აფხაზი

გუშინ ერთი დარბაისელი მწერალი ქალის ოჯახში ვიყავით დაპატიჟებულნი. ჩვენ უკვე სუფრას ვუსხედით, როდესაც შენ შემოხვედი. თავზე ვერცხლისფერი კრაველის ქუდი გეხურა. რარიგ ეხამებოდა ის ფერი შენს თვალებს...

მოგვიანებით, როცა უკვე შინ მივდიოდით, შენ მითხარი, ეს ქუდი მეგობარმა მაჩუქაო მხოლოდ იმიტომ, რომ მოვიწონეო.

— როგორ, — გავიკვირვე მე, — ახლაც იცით ეს აფხაზებმა?

— რას მიქვიან „ახლაც", აფხაზი აფხაზია ყოველთვის! — მითხარი შენ, ცოტა არ იყოს, განაწყენებით.

დალახვროს ეშმაკმა! რამდენჯერ აღტაცებაში მოუყვანივარ შენს კეთილსა და ვაჟკაცურ გულს. და მეც რამდენჯერ მითქვამს ეს შენთვის...

ღარიბ გლეხს თავისი ერთადერთი, შვილივით ნაზარდი ცხენი უჩუქნია სტუმარი თავადისათვის, ასტამურ ძიაფშიფამ ათასებად ღირებული სურათი უბოძა რუს მხატვარს... შენ კი... შენ კი ერთი გული, ერთი პატარა გული ვერ გაიმეტე, ვერ გააჩუქე?

„არა, არა ხარ აფხაზი, ალბათ"... ვამბობდი ყოველივე ამას ჩემს გულში.....

ლეილა დადიანი-გურიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელისო ზარიძე

# [illegible]



მხატვარი ლეონარდო შენგელია

მოთხრობა

— ქა?! — თვალები შუბლზე უხტება მარგალიტას.

— რა იყო, ქრისტიანო, მაშ, ცას ხო არ გამოვეკერები, ჩემი ტოლა ქვა აღარ დაგორამს, — მშვიდად აგრძელებს ეკატერინე, ყველანი „ლეკიაანთ ქალს" რო ეძახიან, — ან, აქამდე რაღას ვამძიმებდი დედამიწას, სახლის კლიტეთღა ვეგდე, ეგ იყო.

— მაშ, ამაღამა... — ისეთი ზის მარგალიტა, ერთიანად მიმტკნარებული, შიშისაგან ფერწასული. ისედაც ერთიბეწო სახე სუ მილევია, სული რო შეუბერო, გადაიქცევა. — რაღა ამაღამა...

— სიზმარი ვნახე. — შეუვალი, ჯიუტი ხმით აგრძელებს ლეკიაანთ ქალი, გეგონება მელანწასმულ ბეჭედს ღერბიან ქაღალდზე ურტყამსო. — ვითომ, ღამეა, დასაწოლად ვემზადები, მამლის ყივილი გადავიდა და მიკვირს, აქამდე რათ არ დამიძინია-მეთქი? შემოვიდა ლევანა. მორთული, მორთული, რო, რაღა. ნუცაპრუწაანთ ნათლობისთვინ ჩოხა რო დაუგვირისტე, ის ჩოხა ეცო. რა იყო-მეთქი, კაცო, რისთვინ გიზიმზიმებს თვალები ეგრერიგათა-მეთქი? ლოგინ ნუ იმზადებ, ჩიხტიკოპით მაირთვი, ჩაცმულ-დახურული უნდა წაგიყვანოვო. მეც სარკესთან ვტრიალებ, თმას ვივარცხნი, პირს ვიბან, რამე. დგას და მელის, როდის მოვირთვები.

— წაჰყე? — მარგალიტა პირდაღებული რჩება.

— წავყე.

— მაშ, მამლის ყივილობა რო გადავა... — ენა ებმება მარგალიტას და კრიჭაშეკრული ყურდება.

უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში, კუთხეში მიმდგარი ძველებური საათის ტაკა-ტუკი ისმის. ისეთი მშვიდი, გეგონება ჩვილის აკვანი ირწევოდეს. ღუმელში შიშინით იწვის შეშა. დროდადრო ნაკვერჩხალს ნედლი ხის წვეთი ეცემა და კარის ჭრილიდან, პირდაბჩენილ უკბილო ხახას რომ ჰგავს, თბილი ოხშივარი ამოდის. ცოტა ხანში ცეცხლი ძლიერდება და უკბილო ხახაში თითქოს ოქროს კბილები ისმევა, ყვითელი ალი ციმციმებს. დეკემბრის სუსხიანი ქარი მჭიდროდ დაგმანულ ფანჯარას წივილით აწყდება და მერე, პურის სასესხებლად გადმოსული და უარით გასტუმრებული მეზობელივით მობუზული და ნირწამხდარი მიდის უკან. შეცივნული, ყინვისაგან გამომშრალი თოვლის ფანტელები აივანთან მომდგარ თუთის ხეზე დაბუდებას რომ ცდილობენ, წელში გადაწყვეტილები მისდევენ ქარს და მაინც ფანჯარასთან დაბორიალობენ.

— აბა, ერთი საშაქრე გამოიღე, — ამბობს ლეკიაანთ ქალი.

— რა საშაქრე...

— ვერცხლისა...

— ქა?! — მარგალიტას სახეზე ფერიც კი ეცვლება.

— ვიცი, — მშვიდად ეუბნება ლეკიაანთ ქალი. — ვიცი, რო გაქ.

მარგალიტა ფეთდება. ლეკიაანთ ქალს ალმაცერად შესცქერის, როდის, როდის წამოდგომას ახერხებს და ბუფეტთან მიდის:

— ესა?

— ეგა. ბუფეტზე დადგი.

ლეკიაანთ ქალს ყვითელუჯრედებიანი, გრძელფოჩებიანი, მძიმე შალი მხრებიდან გადავარდნია და ტახტიდან გადმოშვერილ მოკლე, კოტიტა ფეხებთან ჩამოსცურებია. გატვრენილი, ფიქრში წასული ზის და ვეება, ლაქწასმულ ბუფეტზე შემოდგმულ ვერცხლის მაღალფეხიან საშაქრეს უყურებს, გაზაფხულზე გაშლილ, ნამყენ ტიტას რომ ჰგავს. იმ ვერცხლის საშაქრისაგან წამოსული შუქი თვალსა სჭრის, მაგრამ მაინც თვალჩაციებით მიშტერებია — როგორა ბდღვრიალებს, ქრისტიანოო, — უკვირს, — რითი გააპრიალეო?

— კბილის ფხვნილითა, — პასუხობს მარგალიტა და დაეჭვებული, შემცბარი, ჩაციებით ეკითხება: — მაგის გული გაქ? ამალამ რო მართლა...

— ლევანა წამიყვანს ამაღამ, — გადაწყვეტით აგებებს სიტყვას ლეკიაანთ ქალი, — ეხლა დიდ სამზადისში იქნება, გაძეძებული. გონი, როგორ მიმელის...

— ეგ საშაქრე... — მარგალიტას ძალიან უნდა სხვა რამეზე ილაპარაკოს. ვითომ მიამიტად შეჰლიმის, — ისე მოგწონს, რო თვალი ვერ მოგიწყვეტია?

— მომწონს, მაშ! რო შევცქერი, მიამება, — ძველებურია, — ლეკიაანთ ქალს ხმაში ჩუმი ოხვრა ეპარება. მაინც იმართება წელში, როგორც კი შეუძლია. — ეხლანდელ ვერცხლს კი არა ჰგავს. იმ წინეებზე ჩეკურაანთ ლიზამ ჩამაატარა, მაღაზიაში მაიტანეს და ავილეო, ამაზე ცოტა დაბალი იყო. იტყვი, ქაღალდისააო, სიფრიფანა, სიფრიფანა, ლანდი გასდიოდა. მაგის სიმძიმე და იმისი ერთია? უწინდელ რამეებ სხვა ეშხი ედო.

— ჩემი მამამთილის ნაქონია. ვერცხლის დანა-ჩანგლები, თასები, ჩამჩები, სინები, ვერცხლით მორთული უნაგირები — ბევრი ჰქონდა. შვილებ რო დაუნაწილა, ეს საშაქრე ჩემ ქმარს ერგო. ესა და ერთიც, ზურმუხტის თვლებით გაწყობილი ვერცხლის ქამარი. ჩემმა გოგოებმა სუ თითო-თითო ბალთა გაზიდეს ქალაქ, საყურეები და ბეჭდები დააკეთებინეს.

ლეკიაანთ ქალი ჩუმადა ზის, ფიქრში წასული, რაღაცნაირად უჩვეულოდ გატვრენილი. ვერა ხვდება, რომ მარგალიტა ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებს, შორიდანა სწონავს და ზომავს, ლამის არი, ცნობისმოყვარეობისაგან გაიგუდოს, ვერ გაუგია, რად ესტუმრა ლეკიაანთ ქალი, თავისდღეში ამაყი და უკარება, დიდი ქალბატონივით წარბაზიდული. რაც თავი ახსოვს, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონიათ, არც ნათელ-მირონობა აკავშირებთ, არც ერთი განაყრისები არიან, არც მეზობლები, არც რამე. თვითონ დაბის თავში ცხოვრობს, ლეკიაანთ ქალი — ბოლოში. წლები ისე გაილევა, ერთმანეთს თვალითაც არ დალანდამენ. თუ ვინმეს გასვენებაზე შეხვდებიან, სალამი, ქალამი და ეგ არი ამათი ახლობლობა. არადა, ისე დანდობილად შემოუღო კარი, გეგონება მოიპატიჟესო. მაგრალიტას შიშით გული ლამის ფეხებში ეპარება. ეგეთი გალეული და დაჩამიჩებულია ლეკიაანთ ქალი, ჰა, და ჰა, მართლა მიინავლება და ჩანაცრდება. იმის მაგივრად, რომ სულის ამოსვლას თავის ჭერქვეშ დაელოდოს, სხვისა სახლის ტახტზე დაბრძანებულა და დროჟამისაგან ჩამუქებულ-ჩაშავებულ მაიმუნ საშაქრეს თვალებითა სჭამს. უკვირს მარგალიტას, უკვირს. ოთახში უეშური კაცივით ჩამომდგარი დუმილი ყელში უჭერს, როგორღაც უწადინოთა სუნთქავს, თითქოს თხუნელას სოროში შეუჩურთიათო, სული ველარ მოუთქვია. უყურებს ლეკიაანთ ქალს, უყურებს და გულგარეთ დაილაპარაკებს:

საწყალი შენი ქმარი, სიზმარივით მახსოვს, რომ დაიძახეს, ჯარმელაანთ ლევანა ლოდმა დაიტანაო. დედაჩემი მაიგონებდა ხოლმე, იმისთანა ბაირალის ბიჭი იყო, ენით აუწერელიო, თვალადი, ტანადი, სამებობას რო ბაირალს გამაიტანდა, ყურებით ვერ გაძღებოდი, მთელი ახალგორის ქალ-რძალნი ფანჯრებს მივაწყდებოდით ხოლმეო.

— ორივენი ლამაზები ვიყავით, — უდასტურებს ლეკიაანთ ქალი, — ერთმანეთის სარგონი. მე და გაუხარელ ლევანაზე ბარე ხუთი წელიწადი იყო ლაპარაკი, მისვლა-მოსვლა, შუამავლების გაგზავნ-გამოგზავნა, რამე. ილბალო, შე ბედისმწერალო, თორე, ლევანაზე ბევრი კარქი მთხოვნელები მყვანდა. აბა, რა სახარბიელო სასიძო ის იყო, ღარიბი, ღატაკი, ცარიელ-ტარიელი, თავს იქით არაფერი ებადა. აკი საცოდავი დედაჩემი მუხლებ ითქვეფამდა და სიმწრითა ქვითქვითებდა, უსახლკარობით დამეტანჯება შვილიო. ბელგათაც განა რა გამეეგზავნა: ერთი ნასხვისარი ბაღდადი და ერთიც ნიკალაის სამმანეთიანი. ქირით დავდექით. რო მიმიყვანეს, ერთი აყაყული, ვიწრო ტახტი დამხვდა, ბიძაჩემებმა ცაგარლების ნაქონი კამოდი მიყიდეს, დედაჩემმა ერთი მაიმუნი, სამფეხა მაგიდა და თავავარდნილი კიდობანი გამატანა. ჩემი დედამთილის ნაქონიცა, ერთი დაჩრჩილული, უსახური ფარდაგი გვქონდა. აი, ეგ იყო. ეხლახნობას რო თხის კუდზეა გამობმული სარკიანი შკაფები, გინდა, ბუფეტები, გინდა, ხის კრაოტები, მაშინ ზედ ვინ მიგვასუნინებდა!

ჩემი ბუფეტი ახალციხის იაშიკი იყო. ჩემი დიდი სიმდიდრე — ერთადერთი საშაქრე, ისიც, ქორწილის საჩუქარი. აბა, ლევანას შეძლებული ნათესაობა ჰყვანდა, იმათ გვიფეშქაშეს. მტერ-მოყვარეში თავებ არ შეირცხვენდნენ, თორე, დიდად კი არ ემეტებოდათ და ვეპიტნავებოდით. დრო რო გამოხდა, კიდენაც გვამუნათებდნენ ხოლმე, ერთ ოჯახ დაასახლებს, შაქრის ნატეხებით თავმობმული იმისთანა ვერცხლის საშაქრე მოგართვით, ვინძლო, სუ დაშაქრული გზით იაროთო.

— ჰლარა გაქ? — აწყვეტინებს მარგალიტა და უცებ ძალიან შეეცოდება ლეკიაანთ ქალი, საშაქრის დარდი აქო? საჩქაროდ დაუმატებს: — მერე, მერე...

— იმას ვამობდი... — მშვიდად აგრძელებს ლეკიაანთ ქალი. — აღდგომის წინა პარასკევია. აბა, ჩვენი დიდი უქმე-დღესასწაულიც ის იყო. დიდ ამბავში ვარ. ვრეცხამ, ვხეხამ, ვბერტყამ, რამე. ახალი პატარძალი თავ ვიწონებ სისუფთავითა. ის იყო, კვერცხები შევღებე და სამოვარ მივუჯექი, რო, რა არი, ამოდენა ჯაფით დაღალულ-დაქანცულმა ჩაი მაინც შევხვრიპო, ეს ჩემი ქმარი წამამადგა თავზე. ისეთია, დაკოპილი, დამრუშხული, დანა პირ არ უხსნის. თუ, რა იყო, ქრისტიანო, რა თავ-პირი ჩამოგტირის, რა პირკატა გეცა-მეთქი? ეს ნაალი და ფარდაგი აალაგევო. ერთი იანის ნაალი მქონდა, ზედ სუზანი გადაფარებული, უცხო ფერი დასდევდა, ნაცარწმენდილისა. ის იყო ჩემი დიდი ვეში. — ნაალ-სუზანით მორთული ვიწრო ტახტი. ელდა მეცა, მაგრამ იმ წითელ პარასკებ პირში ხო არ შევებმებოდი! უჩუმრისპირით ავალაგე. ვნახოთ და, ამ ჩემმა ქმარმა წამაიკიდა ზურგზე ის ვიწრო ტახტი და მიაქ. მივდევ გულგადატრიალებული ეზომდინ, მივბზუი, თუ, სად მიგაქ შე ულმერთო, რა ბზიკმა გიკბინა-მეთქი? —ნათხუარი მქონდა, პატრონ დასჭირდა და მიმაქო. აბა, რა სიკეთე დამეყრებოდა, ამოუშვი ქვითინი, ვტირი, ვტირი, ვიოსებ სააღდგომოთ თვალებ. ამ დედაჩემსაც დაუნახნია, რო ლევანამ, ესე, ზემოთზე, ტახტი აატარა. ჩამოქანდა ჩვენსა. შამაიკრა თავში, ვაიმევო, ჩემო მარგალიტივით შვილოვო, ეს რანაირ დაგლუპე, ვის მიგეცი, ის არ გეყოფოდა, რო უსახლკარობით უნდა დატანჯულიყავო. ფოშტებ შეევმუდარები ღვდელსა, ეგება ჟა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გითმოთ, რო ტახტი შაკრათო. იმ ღამეს მიწაზე გვეძინა. ის ჩემი დედამთილის ნაქონი უსახური ფარდაგი გვეგო.

— ქა?! — გულწრფელად ეცოდება მარგალიტას. გული თითქო ძაფზე ჰკიდია, ისე შემოჰკვნესის. დგება და ბუფეტიდან თეფშით ნამცხვარი მოაქვს. — მიირთვი, შენი მკვდრის სულის განათლებავ, გული არ დამწყვიტოო. ლეკიაანთ ქალს არცკი ესმის. თვალგაშტერებული ზის და ფანჯრის იქით დეკემბრის ადრეულ ბინდს გასცქერის. ქარი გაყუჩებულა, ჩამდგარა, თითქოს იმის ლაპარაკს აყურადებს, სადღაც, აქვე მოდარაჯებული, მარცვალ-მარცვალ ჰკრეფს თითოეულ სიტყვას, რომ მერე, ახალი ძალით რომ აწივლდება, ის სიტყვები აქეთ-იქით მიჰფანტ-მოჰფანტოს, ახალი ძალით მოაბნიოს არე-მარეს, ცივად შეაჟრჟოლოს ჩამოთოვლილი ბაღი, ბაღის იქით, ყინულშეპარული, კამკამა რუ, პატარა ბორცვი, ზედ წამოსკუპებული თოვლის პაპა. — ბინდში კუზი რომ ამოსჩრია, ტომარაწამოკიდებული კაცი, გზაზე წაკუზული რომ მიდის...

— იმ ღამეს, — ფიქრს ხმამაღლა ედევნება ლეკიაანთ ქალი, — პირველმა ძილმა რო გადაიარა, ბოხი ხმით დაიძახეს, — ლევან, ლევანო. — წამოვცვივდით, ვეცით კარებ, შემოვიდნენ ორნი, მოგვიშვირეს თოფები და დადგნენ გაჩაჩხულები.

— ვინა... — ხმა ებზარება მარგალიტას.

ლეკიაანთ ქალი არც აციებს, არც აცხელებს, სილასავით სტკიცავს:

— ერთი ნაღველაანთ ბიჭის მამა იყო.

მარგალიტას თმა ყალყზე უდგება. ხელ-ფეხი უცივდება და თვითონაც არ იცის, რა ჭინჭრით დალუდუდებულივით უხდება სახე:

— ქა?!

— აბა, ჩქარათ, ჩქარათო, — სულის მოთქმაც არ დაგვაცალეს. — გათენებამდინ კიდევ ორი შავსიელი გვყავ წამოსაყვანივო, გეყოფათ, რაც იპარპაშეთო. — ვიდექით ხმაჩაწყვეტილები, კისერგადაჭრილი ქათმებივით აფართხალებულები. ლევანას ერთი დასცდა, — თუკი ეს მთავრობა უსახლკაროებისთვინ მოვიდა, აკი გაასახლეთ დიდი ბობოლა ყაზარაანი, ტყუილ-უბრალოთ არ დაიდოთ ჩვენი ცოდოო, — მაშინვე პირში გვეცნენ, — თქვენც დიდი მდიდარი გვარისები ხართო. — წავიწიე კამოდისკენ, ვინ მიგიშო! მარტო თითო ხელი ლოგინიო. სუ ერთი ხელი გვქონდა, წამოგვკიდეს და წაგვასხეს. მაშინ, ახალი მთავრობის კაცები ცაგარლიანთ სამეტაჟიან სახლებში იდგნენ, იქ მიგვრეკეს. ერთი ზმუილი იდგა, ზოგი წუხდებოდა, ზოგი ბრუნდებოდა, თუ რა მოგველის, რას გვიპირებენო? გათენება მოდის და ვხედამთ, — მაშინ საურმე გზა ესე ტყეტყე ჩამოდიოდა, — ჩალით დატვირთული ურმები მოდიან. თექვსმეტამდი დავითვალე. ზოგი ამობს, წაგვასხამენ მაგ ურმებითა და სადმე ამოგვხოცამენო. ზოგი — ნუ გეშინიათ, ეგენი კასპში მიედინებიან მარილზედავო. რო გადათენდა და, გვითხრეს, ჩასხედითო. ვაიმე, ჩემო სოფელო, ჩემო დედულეთო-მეთქი, ამამიჯდა გული. მივდივართ. გზათ ვინცკი ნაცნობი შემოგვეყრება, ჰკვირობენ, ჰკვირობენ, რო, რაღა. ამ დაულალავი მზის მადლსა ვთხომთ; აგრემც დაიწონ და დანახშირდნენ თქვენის ცოდვით, ცეცხლი და ნავთი იმათ სახლ-კარ, ვინც თქვენ ამ ყოფისთვის გაგიმეტათო. რა თქვენი დიდი დუქნები და დვარეცები დარჩათ, რო ღარიბ-ღატაკებ გაკულაკებენო.

ჩაგვიყვანეს კასპში. ერთი დიდი ეზო იყო. გამოვიდა უფროსი. ჩექმები დააბაკუნა, ეს რა ხალხი მოგირეკნიათ აქაო? ჩემო დებო და დედებო, საითაც არ უნდა მოგესურვოთ და გულმა გაგიწიოთ, იქით გასწით, თქვენი დამშლელები არა ვართო. იმ დღისით რაღას ვიზამდით. მეორე დღეს ქალაქ ჩაველით, ჩემ მულთან. ლევანა ისე იყო გულდაშინებული, გვაფრთხილებდა, კრინტი არ დასძრათ, რაც მოხდა, უარესი არა აგვიტეხონ-რაო. მე და ჩემმა მულმა მოვილაპარაკეთ, თუ, მოდი და ლევანას უკითხავათ უფროსთან ქაღალდი შევიტანოთ, რას გვეტყვის. ერთ სპილენძის ჯვრათ ქაღალდი დააწერინა, მშვენიერი, ქვას გახეთქამდა. წაველით. ერთი დიდი ზალა იყო, სიგრძე-სიგანეს წასული, გაპრიალებული, ფარდებით მორთული რამე. თოფიანი კაცი იდგა. დგას ის ვერსაქნელი და არ გვიშვებს უფროსამდინ. უანგარიშოთ ვეაჯებით, თუ, შენი ფეხით მიგვიყვანე ყველაზე უფროსთან, თორემ ამ დიდი ზალიდან ფეხ არ მოვიცვლით, მაინც არსაითა გვაქ წასასვლელივო. როგორც იყო და არ იყო, დიდი ომითა და ვაი-უშველებელითა მიგვიყვანეს. ერთი ხვთისნიერი კაცი დაგვხვდა, ფეხზე წამოგვიდგა, მოგვეგება კარქათ, რამე. აბაო, რა გაგჭირვებიათო? თუ, აი, ესე და ესეა ჩვენი საქმე-მეთქი. მაშ, თქვენ ისა ბრძანდებით, უსახლკაროები რო გაგასახლეს, არავო? აბაკუნა ფეხები იმანაც. ერთი დალაგებულათ მიამბეთ თქვენი ამბავი, რა იყო, როგორ იყოვო. რა იყო საამბობი. უწინდელ ახალგორში მჭიდროთა სახლობდნენ. წყალი ჭირდა. განზე გაწევა ეჩოთირებოდათ. ესეც არ იყოს, გული იქით გეწევა, საცა შენი მამა-პაპის სუნი ტრიალებს. მეზობელი წაგვეკიდა, თქვენეულიაანთ ნასახლარზე, გინდა თუ არა, სახლი უნდა ჩავდგაო. მინამდისინ თქვენ წელ მაიმაგრებთ, ახალგორიც გაიშლება და სხვა ალაგას დაგასახლებთო. შავსიელებში ჩაგვწერა, აიღო და გამოგვასახლამეთქი. ეგ ის არ არი, რევოლვერჩამოკიდებული, წმინდა სამების ეკლესიაში ლეკურ რო უვლიდა და სამი ქალიც ზედიზედ მონათლავო? გავკვირდით, გავკვირდით, რო რაღა? იმ ხვთისნიერმა კაცმა სუ წვრილად იცოდა ჩვენი ამბები. ქაღალდზე წაგვიწერა, თუ, ემსააჩივე გაგზავნეთ ესენი უკანავო. აუცილებლივო.

— ქა?! — აღმოხდება მარგალიტას.

— წამოველით ქალაქიდან. მუხრანამდე მშვიდობით ვიარეთ. მუხრან მეურმეს ურმის თვალი გადაუტყდა. ვდგევართ გზაზე. წვიმს. წვიმს. ცა ფეხათ ჩამოდის. წყალი წურწურით გაგვდის. საწყალ ლევანას ის ჩვენი ერთი ხელი ლოგინი ზურგზე დამბალი ჰკიდია. ჩამაიარა უცხო კაცის ფაიტონმა, გადაუდგა ლევანა, თუ, ეგების დაგვიმგზავროთო. დამპალაზე წამოველით. რასა ვხედამ, გზაზე ცხენის ურემი მოდის, გვერდს წვალებით გვიქცევს, ზედ ბიძაჩემების ნაყიდი კამოდი უდევს, ფარდაგიცა და ჩემი მზითვის პურის კიდობანიცა, ამოვხეჩე ვტირი, ვტირი, ვტირი რო, რაღა. მოთქმითა...

მარგალიტა ისევ პირდაღებული უსმენს. ლეკიაანთ ქალის ცოდვით გული ეწვის. უნდა ერთი-ორი კარგი სიტყვა უთხრას, ან ანუგეშოს, ანა და, უცებ რაღაცით შეძრული სახეწამონთებული ეკითხება:

— სად იყო..., თქვენეული ნასახლარი?

ლეკიაანთ ქალს თითქოს არცკი ესმის, რას ეკითხებიან. ლაქწასმული ბუფეტი კრიალებს, ბუფეტზე ძველებური ვერცხლის საშაქრე დგას. თავს იწონებს თავისი სიმძიმითა და სიძველით. ლეკიაანთ ქალი თითქოს სხვათაშორის ამბობს:

— ამობენ, ნაღველაანთ ბიჭმა უფროსათ არ ივარგა, გადაყენებას უპირებენო.

— მოხსნეს. აკი მოხსნეს, არ გაგიგია? — მიახარებს მარგალიტა.

— ბნელი სისხლისები არიან, განა! უჯიშოები. თავის აძაღლებულ მამას დეემგვანებოდა. — ლეკიაანთ ქალს არც სიხარული ეტყობა, არც წყენა. მარგალიტას გულხელი დაუკრეფია, ვერ ისვენებს, თვალები აცა-ბაცა გაურბის, რაღაცნაირად ძალიანა წრიალებს, დამფრთხალია. ძლივს გასაგონად ჩურჩულებს:

— ის მეზობელი... მეორე... ვინც შავი აღდგომა დაგიყენა...

ლეკიაანთ ქალს თითქო ყურს აკლია. ცოტა ხანს კიდევა ზის, ისევ ფიქრში წასული, სულ სხვა დროებაში გადაკარგული, მერე უცებ აფუთფუთდება:

— წავიდე, წავშავდე. ვინ იცის, რა ხანი გავიდა. მინამ ჩიხტაკოპით მოვირთვები, მინამ ჩაის ავიდულებ, მივალაგ-მოვალაგებ, რამე, ლევანაც გამამეცხადება. ხო არ დავალოდინებ... — როდის, როდის გაეშლება დაბუჟებული ფეხები, მძიმე შალს ხვნეშით ისხამს მხრებზე, კართან, კუთხეში მიწყობილ კალოშებში კოტიტა ფეხებს ჩადგამს და გასაცილებლად აფუსფუსებულ მარგალიტას თვალს თვალში გაუყრის: — ის მეორე — შენი ძაღლი მამამთილი იყო. ეს საშაქრე ლევანასთან მიმაქ. ეგრე დამიბარა. საფლავში უნდა ჩავიყოლო. — ბუფეტიდან მშვიდად იღებს ვერცხლის მძიმე საშაქრეს, შალის ცალ კალთას გადააფარებს, საგულდაგულოდ შეფუთნის, ჩვილივით.

ღიად დარჩენილი კარიდან ცივი, მსუსხავი ჰაერი შემოდის და ჩანავლებულ ღუმელს არხეინად უტრიალებს. მარგალიტა ენაჩავარდნილი დგას, გახევებული. უყურებს, როგორ გაიხურავს ჭიშკარს ლეკიაანთ ქალი, სახლის კუთხესთან მოუხვევს და გზაზე გადის. მარგალიტას ყელიდან ხმა აღარ ამოსდის, ხავის:

— ქა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ბავშვს სმენა აკლია...

იქნებ ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისში, დიღმის მასივში, 15 წელია არსებობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სმენადარღვეულ ბავშვთა რესპუბლიკური სადღეღამისო ბაგა-ბაღი. სმენადაქვეითებული ბავშვი სათანადო მკურნალობას და ზედამხედველობას საჭიროებს, თადარიგიანმა მშობელმა იგი დროულად, ბაგის ასაკიდანვე უნდა მოიყვანოს აქ, რათა სპეციალური პროგრამის ათვისების შემდეგ შეძლოს შესაბამის სკოლა-ინტერნატში სწავლის გაგრძელება.

ბაგა-ბაღი სპეციალური პროგრამით მუშაობს, დედაენაც თავისი აქვთ, თვალსაჩინოების ათასგვარ მეთოდს იყენებენ. დედაენაში ჩვეულებრივი ანბანი და დაქტილია გამოყენებული. ყველა ოთახში დამონტაჟებულია სასმენი აპარატი სპექტრი, რომელიც ნარჩენი სმენის ამოქმედებას და გაძლიერებას უწყობს ხელს.

ბაღს განსაკუთრებულ ყურადღებას და პატრონობას უწევს ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი და რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოსთან არსებული სურდოლოგიური კაბინეტის



ბაგა-ბაღის გამგე ინა ჩიკვაიძე აღსაზრდელებთან





დავით იაკობაშვილის ფოტოები

ექიმი-ლარინგოლოგი რიტა დავიდოვა. ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვის სმენისა და მეტყველების ოდნავი დეფექტის შემჩნევის შემთხვევაში ამ ბაღს დროულად მიაკითხოს, თუ უნდა, რომ მისი შვილის ბედი მომავალში სასიკეთოდ წარიმართოს.

აღმზრდელი პედაგოგები, ლოგოპედები, ექიმები, ძიძები — ეს ის ადამიანები არიან, რომელთა სამუშაო საათები განუსაზღვრელია. საზრუნავი — ამოუწურავი... თბილი, კეთილი მოპყრობით ყველაფერს აკეთებენ, რათა ბუნებით დაჩაგრულ პატარებს ადრიდანვე შეუმსუბუქონ სულიერი ტკივილი.

სასკოლო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით ახალი გამგე ინა ჩიკვაიძე ცდილობს ბაღს ბევრი ახალი სასიკეთო სიახლე შემატოს: შეიცვალა შინაგანაწესი, გადახალისდა სწავლების მეთოდი, სახე იცვალა ვაზის ტევრში ჩაფლულმა ტიპიური ორსართულიანი შენობის ხედმა.

ნინო არჩვაძე

# ნინო შვანგირაძე



ჩვენს ხელთაა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1972 წლის ერთ-ერთი ნომერი, რომელშიც ქართული თეატრის მოამაგის დავით ჩხეიძის საიუბილეო საღამოა გაშუქებული. მრავალ ფოტოთა შორის ყურადღებას იპყრობს ერთი სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია პრეზიდიუმის წინ, გრძელ სამოსში გამოწყობილი, ელეგანტური გარეგნობის მანდილოსანი, სურათის უკანა პლანზე კი, ჩვენი იმდროინდელი სახელოვანი თეატრალური საზოგადოებრიობის მთელი ელიტაა წარმოდგენილი. ჟურნალი გვამცნობს, რომ საღამოზე იუბილარის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქალბატონი ნინო შვანგირაძე. იგი შემართული, ყოველგვარი კონსპექტის გარეშე, უმიკროფონოდ, უშუალოდ ესაუბრა აუდიტორიას. და ეს მაშინ, როცა პრეზიდიუმში, სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, იჯდა თვით ბესარიონ ჟღენტი.

სულხან-საბამ „შური“ სულ სხვაგვარად ახსნა, მაგრამ, ალბათ, არსებობს კიდევ სხვა შური, შური აღტაცებისა, რომელიც დღეს ჩვენ გვალაპარაკებს — ესაა ქალბატონი ნინოს სულის სიმხნევე!.. მშვენიერი მანდილოსანი ჩვენი მღელვარე საუკუნის ჭეშმარიტი მკვიდრია; ახლა, როცა საჯაროობის მადლმა, წარსულში ღრმად და თავისუფლად ჩახედვის სურვილი დაბადა, როგორ არ მივუბრუნდეთ იმას, რაც ქალბატონ ნინოს სიყმაწვილის ბედნიერ დღეებში გადახდა თავს. ვინ-ვინ და, ბევრი სამუდამოდ ჩამოყრიდა ფრთებს. სულიერი შეჭირვების ჟამი მშობლიურ მხარეს მოშორებულმა ქალბატონმა ნინომ შუქცეცხლოვანი თვალებით, იმედის დიდი რწმენით და შეგრძნებით გადალახა, იმის რწმენით, რომ მთელი თავისი ნიჭი და უნარი სამშობლოს სამსხვერპლოზე უნდა გაეღო. გაიარა რეპრესიის მძიმე წლებმა. სხვა ვინმე ალბათ ნამდვილისა და გამოგონილის თხრობას „შესწირავდა“ თავსა და დროს. ქალბატონ ნინოს კი ერთი პრინციპი ამოძრავებდა — დრო არ იცდის, მისი გასაკეთებელი მხოლოდ მან უნდა გააკეთოს.

ორმოციანი წლების დასასრულს ნინო შვანგირაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დიმიტრი ჯანელიძის რჩევით, შემოდის თეატრალურ სამყაროში და თავის ცხოვრებას საბოლოოდ უკავშირებს ქართულ თეატრს.

თავდაპირველად მან სამუზეუმო საქმეს მიჰყო ხელი. ინტერესით, რუდუნებით, მასალისადმი სათუთი დამოკიდებულებით და მისთვის ჩვეული პუნქტუალობით ეკიდებოდა იგი ამ საშვილიშვილო საქმეს და ბევრიც აზიარა კვლევისა და მეცნიერული ძიების საიდუმლოებებს. სამუზეუმო მოღვაწეობის სიკეთემ სისხლ-ხორცეული გახადა ნინო შვანგირაძისათვის ქართული თეატრის წარსული და დღეს იგი ბევრი უცნობი ლაბირინთის გამკვალავია.

როდესაც ქალბატონ ნინოზე ვსაუბრობთ, პირველი, რაც გვინდა წარმოვაჩინოთ, ეს არის მისი დამოკიდებულება სანდრო ახმეტელისადმი. დღეს ბევრს, შესაძლოა, ეგონოს, რომ თითქოს თავიდანვე ადვილი იყო ახმეტელის სახელის ხსენება. იმხანად კი ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული და არავინ იცოდა, მომავალი რას მოგვიტანდა. ნინო შვანგირაძემ შეუპოვრად, მისხალ-მისხალ შეაგროვა მასალები დიდ რეჟისორზე, გაიაზრა ერთ წიგნად და შეკრა, რომელსაც შთამომავლობა მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს. წიგნი ორ ენაზე დაისტამბა — ქართულ და რუსულ ენებზე. ეს წიგნი გასცდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს და ამით ქალბატონმა ნინომ საკადრისი პატივი მიაგო სანდრო ახმეტელის ხსოვნას. სათეატრო ხელოვნების ისტორიკოსისა და მკვლევარის ეს ღვაწლი ფასდაუდებელია.

ამჯერად ჩვენ არ ვამახვილებთ ყურადღებას ნინო შვანგირაძის მრავალრიცხოვან სტატიებზე, წიგნებზე და პუბლიკაციებზე — მისი მოღვაწეობის ფართო საზოგადოებრივ ინტერესებზე. მის გარშემო ყველაფერი ჩქეფს. იგი ვერ იტანს ინერტულობას, გულგრილობას, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას. მის მრავალრიცხოვან აღზრდილებს თუ დღევანდელ სტუდენტებს, ყოველთვის ახსოვთ ქალბატონ ნინოს ეს თვისებები.

ბედნიერი ქალია ნინო შვანგირაძე. მას საინტერესო შეხვედრები ჰქონია ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოჩენილ ადამიანებთან, პირადი მეგობრობაც აკავშირებს ბევრ მათგანთან. შესანიშნავი პედაგოგები უნივერსიტეტში, არანაკლებ ძვირფასი სახელები ქართულ თეატრში. ქალბატონ ნინოს არ ავიწყდება საქართველოს თეატრალური საზოგადოების დრამატული თეატრებისა და თეატრმცოდნეობის კაბინეტის გამგის უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტზე თეატრებისადმი კეთილმოსურნე მეურვეობა. დისპუტები, განხილვები, თეატრალურ ბატალიებში აქტიური მონაწილეობის მიღება — ყველაფერი ეს ქალბატონ ნინოს სტიქიაა და ის თავს ისე გრძნობს, როგორც ამ საქმისათვის დაბადებული. ხშირად ყოფილა შემთხვევა (რასაც კოლეგა — მამაკაცები სიამოვნებით იგონებენ) როდესაც რთული ვითარების გამო, ყველას შიშის ზაფრა გადაკვრია სახეზე, მხოლოდ ქალბატონ ნინოს მოუნახავს გამოსავალი და ვაჟკაცურად დასდგომია წინ მოსალოდნელ ხიფათს. ესეც მისი ხასიათის თვისებაა.

ქალბატონ ნინოს კიდევ ერთი გამორჩეული თვისებაა — გულისხმიერება და გამტანიანობა, რაც მან არაერთგზის დაამტკიცა თავისი ხანგრძლივი და ლამაზი ცხოვრების გზაზე. სილამაზე ღვთისაგან მომადლებული ნიჭია. ამ ნიჭს უფრო მეტი ელფერი შემატა დაუღალავი შრომით ქალბატონმა ნინომ, ქართული თეატრის ამაგდარმა მოღვაწემ, მკვლევარმა, პროფესორმა, დედამ, მეუღლემ და სამშობლოს მოჭირნახულემ.

ვაჟა ბრეგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მისი შეუღლე



ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ძალიან „წყნარად“ ვცხოვრობდით, ჩვენთვის, თვითდინებით. და იმ წლებმა მოიტანა შეცდომები, აქა-იქ გაჩნდა ჭაობი, შეიცვალა ჩვენი ცხოვრება, შრომა, ურთიერთობა. ერთფეროვნებამ და რუტინამ მოიკიდა ფეხი, შევიცვალეთ ჩვენც...

ასე იყო ბევრ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სკოლაში. მაგრამ ასე როდემდე შეიძლებოდა? და აი, ძველსა და მიულებელს გამოვუცხადეთ ბრძოლა, ავმოქმედდით, გამოვფხიზლდით, ახლის დინებას ავყევით, სულ სხვა ცხოვრება დავიწყეთ.

ცვლილებები სკოლასაც დაეტყო. თანდათან წესრიგდება ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სიძნელეები. ერთბაშად ძნელია წლობით განმტკიცებული დამოკიდებულების შეცვლა.

ადრე, ძველ წლებში, როცა გაცილებით მეტი იყო მოწოდებით მასწავლებელი, ვიდრე შემთხვევითი, ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ის მასწავლებლები დიდი პედაგოგიური ალღოთი იყვნენ დაჯილდოებულნი. მათთვის თავიანთ საქმეზე უფრო წმინდა რამ არ არსებობდა. მათ ომის დროს კუთვნილი შავი პურის ნაჭერი და ერთი კოვზი შესქელებული რძე შინ მიჰქონდათ ავადმყოფი მოსწავლისათვის. მათ იცოდნენ თითოეული ბავშვის ოჯახის ავლადიდება და პირველ რიგში ის, თუ სად იდგა ბავშვის საწერი მაგიდა. მათ იცოდნენ, რას აძლევდა დედა თავის შვილს და სად იყო საჭირო მისთვის ხელის შეშველება.

ასეთი პედაგოგები თანდათან შემოგვეცალნენ. ისინი „სხვათაშორის“ პედაგოგებმა შეცვალეს, რომელთათვისაც სულერთი იყო სკოლაში შევიდოდნენ, თუ რომელიმე კომბინატის ლაბორატორიაში დაამზადებდნენ სინჯს.

მძიმე, კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სკოლა. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სწორი ურთიერთობები ვერ დაამყარეს და ჩიხში მოექცნენ.

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები მასიური არ არის, მაგრამ არც ცოტაა. დაიწყო კვლევა, ძიება, ფიქრი. და ამ დროს შევხვდი თბილისის 55-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს ლიანა მაჭარაშვილს.

ქალბატონმა ლიანამ სკოლაში ოცდაათი წელი გაატარა. ამ ხნის მანძილზე მისი არცერთი გაკვეთილი არ ყოფილა ერთნაირი, მოსაწყენი. მას იმპროვიზაციის ულევი მარაგი გააჩნია. სულ ახლებური, სულ თავისებური და განსხვავებულია ყოველი გაკვეთილი. თუმც გაკვეთილი არც მინდა ვუწოდო, ისე სხვანაირად ტარდება იგი. ჩვეულებრივი გაკვეთილები დღეს ზოგან ღელვის, დასჯის და შეურაცხყოფის მაგალითებით არის სავსე, სადაც ყველაფერი ეს საგნისადმი სიძულვილს, ან უკეთეს შემთხვევაში გულგრილობას განაპირობებს. ლიანა მაჭარაშვილს კი გაკვეთილი კი არა, საინტერესო შეხვედრები აქვს ბავშვებთან. ეს არის ურთიერთობის, გულახდილობის, რწმენის, სიხარულის, სიამოვნების საათები... მასთან ბავშვები მისი თანასწორნი არიან, მეგობრული ატმოსფერო შიშს და უნდობლობას დევნის. ბავშვები ინგლისური ენის გაკვეთილზე ისვენებენ, სრულყოფილ ადამიანებად გრძნობენ თავს. ის, რაზეც ახლა არის მსჯელობა და აზრთა გაზიარება პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, რაზეც ახლა ლაპარაკობენ და სიახლის გზებს ეძებენ ჩვენი ნოვატორი მასწავლებლები, ლიანა მაჭარაშვილს უფრო ადრე, თავისით დაუწესებია, გამოუყენებია, დაუმკვიდრებია და დღეს საძებარი და მოსანახი აღზრდის მეთოდოლოგიაში მას თითქმის ბევრი არაფერი აქვს.

ახალგაზრდა პედაგოგი იყო, როცა მეექვსეკლასელებს გამოუცხადა, ყველამ რიგრიგობით სცადეთ ჩემს მაგიერ ჩაატაროთ კლასში ინგლისური ენის გაკვეთილიო.

ბავშვები მასწავლებლობისათვის ემზადებოდნენ, და იცით რა ხდებოდა? ისინი ქალბატონ ლიანას ანცვიფრებდნენ თავიანთი „მასწავლებლობით“. ალბათ ამიტომაცაა, რომ დღეს ბევრი მათგანი საკმაოდ ავტორიტეტიანი მასწავლებელია.

— ასპარეზი დავუთმოთ მოსწავლეებს, — აცხადებენ ნოვატორი მასწავლებლები. ლიანა მაჭარაშვილს დიდი ხნის წინ დაუთმია ასპარეზი ბავშვებისათვის.

ჩუმი სიყვარული ბევრის შემძლეა. მას შეუძლია ორი ხელი ერთმანეთს ჩააჭიდოს — დიდი და პატარა. მას შეუძლია შინიდან ერთმა კანფეტი გამოიყოლოს და მეორეს ჩუმად ჩაუდოს ჯიბეში. სიყვარულმა, რომელსაც არც ყვირილი და არც დატუქსვა არ ბორკავდა, დიაფილმი შეაქმნევინა ბავშვებს. ოსკარ უაილდის „ერთგული მეგობარი“ რომ გაიარეს, მათ ნაწარმოების გმირთა და სიტუაციათა ხატვა დაიწყეს, ამ ნახატებიდან მთავარი შეარჩიეს და 39 კადრი გადაიღეს.

ოცი წლის წინ ლიანა მასწავლებელმა ნორჩ მთარგმნელთა წრეში პირველი მთარგმნელები მიიღო და იქიდან მოყოლებული ამ თარგმანებით ბავშვები ხელნაწერ ჟურნალს გამოსცემენ. შექსპირი, ო, ჰენრი, ჯეკ ლონდონი, ოსკარ უაილდი მათი საყვარელი მწერლებია. ვინც მთარგმნელთა წრეში ვერ „მოკალათდა“, ნორჩ შექსპირელთა წრე აირჩია, ზოგი დრამატულმა წრემ მიიზიდა, ზოგი ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის წრის წევრია, ზოგიც გეოგრაფიისა და ისტორიის შემსწავლელ წრეში შექსპირის ქვეყანას ძირფესვიანად სწავლობს. ბავშვები თეატრთან მეგობრობენ, ესწრებიან შექსპირის პიესების დადგმებს და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ.

შეუმჩნევლად, თანდათანობით, სიყვარულში იღებენ 55-ე სკოლის მოსწავლეები ცხოვრებაში წასაღებ „საგზალს“ ინგლისური ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას ლიანა მაჭარაშვილისაგან, მაგრამ მათი „საგზალი“ ის საუკეთესო ადამიანური თვისებებიცაა, რომლებითაც იხიბლებოდნენ ყოველდღიურად, რომლებსაც ითვისებდნენ, ითავისებდნენ და ნაწილ-ნაწილ ილაგებდნენ. ასეთი პედაგოგი კი ნამდვილად იმსახურებს იყოს საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

...ხშირად, რადიოთი თუ ტელევიზიით ბავშვები ისმენენ დიქტორის ხმას: „ცისფერი ტრიო“ შეასრულებს რუსუდან სებისკვერაძის სიმღერას „პეპელა“. ტექსტი ლიანა მაჭარაშვილის“. მოსწავლეები ხარობენ, რომ მათი საყვარელი მასწავლებლის ჰობი ლექსების წერაა. მისი ბევრი ლექსი სიმღერებად მოგზაურობს კიდით-კიდემდე....

ერთი დიდი საამაყო აქვს ლიანა მაჭარაშვილს — მისი მეუღლე და ქალ-ვაჟი საუკეთესო მოქალაქეები არიან.

ამ ლამაზი, ჯანსაღი ოჯახის სურათი რომ სრულყოფილი იყოს, მის წევრთა ვინაობას ჩამოგითვლით:

მეუღლე — გივი გოშაძე — პროფესორი.

ქალიშვილი — მანანა გოშაძე — დოცენტი, თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი.

ვაჟიშვილი — ლაშა გოშაძე — კიბერნეტიკოსი და ეკონომისტი, საქართველოს აგრომრეწვის წამყვანი ეკონომისტი.

მათი წარმატებები უსათუოდ ქალბატონ ლიანას კარგი ქალობიდან იღებს სათავეს.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ფონდი მოგვიწოდებს

# სადა ხარ, „ქვეყნის მამიდავ!“

ბავშვობაში არაფრისა მეშინოდა, არც მარტოობის, არც სიბნელის, არც ძაღლის, მაგრამ ღამეები მითენებია იმის შიშით, მშობლები არ დამხოცოდა და არ დავობლებულიყავი. ობლობისა მეშინოდა ყველაზე მეტად და (მადლობა ღმერთს, ღრმა მოხუცებულობამდე მივხედე და მივეფერე ჩემს მშობლებს). იცით, რით იყო გამოწვეული ეს შიში? მე და ჩემი ძმა „პრიუტელებთან“ (ასე ეძახდნენ საბავშვო სახლის აღსაზრდელებს) ვსწავლობდით. უმწეო, უდედმამო ბავშვების გვერდით ყოფნა, მათი გაცრეცილი სახეების და სევდიანი თვალების ცქერა დიდი სატანჯველი იყო ჩვენთვის. სულ შიოდათ, სულ სციოდათ, სულ ტიროდნენ ობლები.

ერთ დღეს თავი მოვუყარე ჩემს დედმამიან ამხანაგებს (მაშინ მესამე კლასში ვიყავი) და ვთხოვე — მოდით, ყოველდღე „პრიუტელებს“ საჭმელი მივუტანოთ შინიდან-მეთქი. ყველას მოეწონა ჩემი აზრი, მერხთან წყვილ-წყვილად ვისხედით სოფლელი და „პრიუტელი“. ყოველ სოფლელს თავის გვერდით მჯდომ „პრიუტელისათვის“ უნდა მოეტანა საჭმელი. მეორე დღეს, პირველი გაკვეთილი „სატანჯველად“ ექცა ჩვენს თამარა მასწავლებელს; კლასში საოცარი პირის წკაპუნი ისმოდა, მაგრამ ხმას როგორ ამოიღებდა, სანამ ბავშვები ჭამას არ დაამთავრებდნენ. მერე ეს ჩვენი წესი სხვა კლასებმაც გადაიღეს და ცოტა ამოისუნთქეს „პრიუტელებმა“.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა სულითა და გულით ცდილობს ბავშვებს ობლობა შეუმსუბუქოს. შეიქმნა ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა დაცვის ფონდი, რომელიც დიდ მუშაობას ატარებს ბავშვთა საკეთილდღეოდ.

საქართველოს საბავშვო ფონდს სათავეში უდგას ცნობილი პოეტი ხუტა ბერულავა, რომლის ენერგიისა და მოსიყვარულე გულის იმედით დიდ საქმეებს უნდა ველოდოთ, მაგრამ ეს არც ისე იოლია, რადგან ოჯახს, დედ-მამას, სისხლით ნათესავს, ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის. საოცარია, ნუთუ დაობლებულ ბავშვებს, მშობლებთან ერთად, ყველა ნათესავი გაუწყდათ, აკი „ქვეყნის მამიდა“ ხარო, ასე ამბობენ კეთილ და გულისხმიერ ადამიანზე. დიახ ვინც ობოლს, უმწეოს თუ გასაჭირში მყოფს მიხედავს და გამოესარჩლება „ქვეყნის მამიდას“ ეძახიან, რადგან მართლაც მამიდა იყო მუდამ მფარველი და პატრონი ძმისშვილისა. ნუთუ დღეს აღარ ებრალება მამიდას ძმისშვილი, ბიცოლას — მაზლიშვილი, ბებიას — შვილიშვილი, დეიდას — დისშვილი; აკი დეიდას დედის სუნი აქვსო! რატომ ცხოვრობენ ამდენი ბავშვები საბავშვო სახლებში და არა ნათესავებთან, ისე, როგორც წინათ იყო. ეს საქმე მოსაგვარებელია და შესასწავლი. იძულებით არაფრის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ხომ შეიძლება გამოვარკვიოთ, შევისწავლოთ ობლის ნათესაობა და გავუღვიძოთ მათდამი სიბრალულის გრძნობა. იქნება შეიბრალონ და ობლების მოვლა იკისრონ. არ უნდა პატარას ფუფუნება, პატარას ალერსი უნდა, მკერდში ჩაკვრა, ცრემლის კოცნით შემშრალება, თმის ლამაზად დავარცხნა, თავზე ხელის გადასმა, შექება, თბილი ლოგინი უნდა და... ოჯახური სიმყუდროვე; როგორი იოლია ეს, თუ გაქვს გული და თუ ხარ ადამიანი! მაგრამ, რა ვუყოთ იმ „გადაგდებულ“, ძალად დაობლებულ პატარებს, რომლებიც ცოცხალმა დედებმა და მამებმა მოიშორეს და მოიშორეს ისე, როგორც იშორებენ უვარგის ნივთს.

გულგათომშილო ქალო! ცხრა თვე მუცლით რომ ატარე შენი სისხლი და ხორცი, გულთან რო გესმოდა მისი პატარა გულის ფეთქვა, როგორ გადააგდე, მერე ძუკნა ძაღლივით წაძუნძულდი და გაექეცი! ბოდიშს ვიხდი ძუკნა ძაღლთან, აბა, გაბედე და ახლადლეკვებდაყრილ ძაღლთან ახლოს მიდი, ლეკვს თითი შეახე, თუ დაგინდოს, აბა, კრუხთან სცადე და ყვითელ, ფუმფულა წიწილებს მიეკარე, მშვიდ, ბაჯბაჯა დათვის ბელებს მიუახლოვდი... რომელი ერთი დაგინდობს, ნახე!

შენ რა დაგემართა ქალო, შე გულგათომშილო, გულქვავ და გულამოცლილო! ვის მიუგდე, სად დატოვე, როგორ მოიგლიჯე გულიდან შენი შვილი, შენი სისხლი და ხორცი, ერთხელ მაინც მიდი და ნახე, შორიდან მაინც შეხედე, როგორია მიტოვებული ბავშვის თვალები, სცადე, შეხედე, თუ ვერ გაუძლებ და შეწუხდები, ცოტა მაინც გქონია შემორჩენილი რაღაცა გრძნობა ადამიანისა. მოინდომე, გაითბე გული! თუ სურვილიც არა გაქვს უკან მიხედვისა, პოტენციური მკვლელი ხარ მაშინ, შვილის მკვლელი!

დაფიქრდი, უსულგულო ქალო, მიიხედე უკან, მოძებნე შენი შვილი, ჩაიკარი გულში, ცოტახანს მაინც გყავდეს ასე და... შენი შვილი თვითონ გაგითბობს გულს, თავად მოგეფერეია, გაგაადამიანურებს; ოღონდაც შენ მოინდომე, ცოტათი მაინც მოინდომე!

დაბერებას არ აპირებ? ვისი იმედი გაქვს, ვინ მოგივლის, ვინ მოგაწვდის ჭიქა წყალს, ვინ გიპატრონებს ცოცხალს და მერე ვინ მიგაბარებს მიწას... შენც ხომ დედამ გაგაჩინა და გაგზარდა! თუ შენც ასეთი ცოდვის შვილი ხარ? მით უფრო, უნდა გესმოდეს რა არის უდედობა, გონს მოეგე, აჯობე შენში ჩადებულ ყინულს, დაამსხვრიე, უშველე შენს თავსაც და შვილსაც შენსას.

შენს შვილს დედის ალერსი უნდა, შენი სითბო, შენს მკერდზე თავის მიდება და შენი გულისცემის მოსმენა უნდა. მართალია, არ უნახიხარ, მაგრამ უყვარხარ; გჯეროდეს, სიზმრად თუ ცხადში შენ ელანდები და შენზე ოცნებობს, ყველა ქალში შენს სახეს ეძებს და გიხმობს. ყური მიუგდე, ეცადე გაიგონო და გაიგებ მის სევდიან ძახილს „დე-და!“...

შენ ამ დროს ნეტავ რას აკეთებ, რა საქმიანობას ეწევი იმაზე ძვირფასს, რაც დედის მოვალეობაა, რასაც დედა-შვილობა ჰქვია.

საოცარია, რატომ ველოლიავებით შენისთანა უსულგულო დედებს, რატომ გვექცევათ ჩვენი ქვეყანა ასე ლმობიერად დედებს, რომლებიც ცოცხლები ხართ და ბავშვთა სახლებში მიტოვებულ შვილებზე სახელმწიფო ზრუნავს.

უსულგულო დედებო! კარგი იქნება არსებობდეს ასეთი კანონი: სადაც არ უნდა იყოთ, სადაც არ უნდა იმუშაოთ, თქვენი ხელფასიდან გვკავებოდეთ შვილისათვის კუთვნილი თანხა და იგი ბავშვის სრულწლოვანებამდე შემნახველ სალაროში ინახებოდეს. დიახ, უნდა იყოს ასეთი კანონი, უნდა შეენახოს ბავშვს საკუთარი მშობლისაგან ძალად წართმეული ფული.

მიგდებული ბავშვის გამჩენო! გონს მოეგე. მიხედე შენს შვილს, თორემ... იქნებ ბუნებამაც არ გაპატიოს ასეთი დანაშაული.

ყველგან, ყოველ წამს თან გსდევს მისი სევდიანი თვალები და სად გაექცევი, სად! უბედური იქნები მუდამ!

დოდო ვადაჭკორია,
ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრი, შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საწინდარი ჩვენი უკვდავებისა

ამ ორი ათეული წლის წინათ სოფელს ახალი წევრი რომ შეემატა, აქა-იქ წაიჩურჩულეს, რუსია, „ტანცებს“ იქნება შეჩვეული, ჩვენთან რა გააძლებინებს, დარყაში კინოსაც კი არ უჩვენებენო. ზოგმა, — დედისერთაა, განებივრებული ბავშვი იქნება და აქაურ სოფლის საქმეს თავს ვერ გაართმევსო.

ქართველების რძალი ვალენტინა მინიაევა ციმბირელია. დიდი და კეთილმოწყობილია მისი მშობლიური სოფელი ნოვონიკოლაევკა, ხალხიც გამრჯე და შრომისმოყვარე ცხოვრობს; მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობას მისდევენ. ვალენტინას მშობლები მუყაითი, გამრჯე ადამიანები არიან და თავიანთ „ერთასაც“ ბავშვობიდანვე შეაყვარეს საქმე, ისე რომ, დაოჯახებას მოუმზადებელი არ შეხვედრია ვალენტინა. ნოდარ ბერიძესთან ერთად შრომისმოყვარეობით შესანიშნავი ოჯახი შექმნა, მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი თორმეტი შვილია, რვა ვაჟი და ოთხი ქალი; თორმეტი სიხარული, თორმეტივეს ისე ლამაზი სახელი ჰქვია, მარტო მოსასმენადაც კი სასიამოვნოა: ელისო, ალექსანდრე, ნინო, კობა, ცისკარა, ირმა, ბესიკი, როსტევანი, თორნიკე, ნესტანი, რაჟი, რატი...

მზე როცა ამოდის და ხასხასა მოლიდან ნელნელა აკრეფს ნამის მარგალიტებს, ვალია და ნოდარ ბერიძეების ოჯახში უკვე ყველა თავის საქმეს აკეთებს. ბესიკმა დილაუთენია თვრამეტი თხა გამოდენა საჩეხიდან, კობამ თორმეტი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ცისკარა სალორესთან ტრიალებს, ათი დედა ღორი ჰყავთ და ორმოც სულ ნამატსაც ინახავენ, თანაც ექვს სულ მეწველ ძროხას უვლიან. ყოველ დილა-საღამოს მათი დაბანვა-გასუფთავება, მოწველა, ყველის ამოყვანა და ამავე დროს, სხვა საოჯახო საქმეები: რეცხვა, კერვა, გაუთოვება, სადილის მომზადება... გოგონების კისერზეა. მით უმეტეს ოჯახის უფროსები ბევრს ვერაფერს ეხმარებიან, მამა მალაზიაში მუშაობს, ნაბოლარა რატი კი ჯერ ერთი წლისაც არ არის და დედა მთელი დღე მას დასტრიალებს.

ირმა პატარაა, მაგრამ მისი გარეცხილი თეთრეული ისე ქათქათებს, ნაკლს ვერ მოუძებნით, ერთი სიტყვით, ბერიძეთა ოჯახი ნამდვილად შრომითაა წელგამართული. დედა ნახე, მამა ნახეო, — ტყუილად როდია ნათქვამი. უნდა განახათ, რა ხალისით შრომობენ ბავშვები. უმთავრესი კი ის არის, რომ შრომა არც სწავლაში უშლით ხელს. პირიქით, სკოლაში ყველა კარგ მოსწავლედ ითვლება. ბიჭები გაკვეთილს (საზეპიროებს) ზოგჯერ მინდორში ამზადებენ. ირმა, ბესიკი და როსტევანი ფრიადოსნები არიან, ალექსანდრემ წარჩინებით დაამთავრა რვა კლასი და ქუთაისის მეოთხე პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა. იქაც მოწინავეა, კარგად უხამებს ერთმანეთს სწავლასა და შრომას. შაბათ-კვირას ყოველთვის სახლში მოდის და მშობლებს ეხმარება.

ნინომ ახლა დაამთავრა რვა კლასი. მკერავის პროფესიის დაუფლებას აპირებს, ამხელა ოჯახს კი ჭირდება ერთი საკუთარი მკერავი.

ელისო უფროსი შვილია. ახლახან შეუსრულდა ოცი წელი და უკვე საკუთარი ოჯახი აქვს. მისი უფროსი ქალიშვილი მარინე ოთხი წლისაა. მირანდამ ახლა აიდგა ფეხი. ასე რომ, ორმოცი წლის ვალენტინა ერთდროულად გახდა ბებია და მეთორმეტე შვილის დედა.

ქალიშვილი სკოლას რომ დაამთავრებს, თუ სწავლის გაგრძელებაზე აღარ ფიქრობს, გზა-შარაზე ხეტიალს, სჯობია დაოჯახდეს და შვილები გაზარდოს — ასე ფიქრობს ვალენტინა.

— მაინც რამდენი შვილი უნდა ჰყავდეს ქალს? — ვეკითხებით გმირ დედას.

—ალბათ ყველა ქალის სურვილია ჰყავდეს ბევრი და კარგი შვილი, მაგრამ შვილის გაჩენასა და გაზრდას დიდი სულიერი და ფიზიკური ძალაც უნდა, ამიტომ მეუღლის მხარში ამოდგომა აუცილებელია. ნოდარს რომ ნამდვილი მეგობრობა არ გაეწია ჩემთვის, პირველი შვილის მერე ალბათ მეტს აღარ გავაჩენდი. ისე კი ოჯახში პატარა ბავშვი არ უნდა გამოილიოს, რადგან მეტი ხალისი აქვს ცხოვრებას, ბავშვებსაც მეტი სიყვარული აქვთ ერთმანეთის. ასე მიპასუხა ვალენტინამ. ბავშვების აღზრდაში თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას იყენებს ვალენტინა. უფროსი ბავშვის დაპატარავებულ ტანსაცმელს საჩუქარივით იღებს მომდევნო. რაც უფრო მოეხმარებიან დედას უფროსები უმცროსების გაზრდაში და რაც მეტი ამაგი ექნებათ ერთმანეთზე, მით უფრო მეტად ეყვარებათ ერთმანეთიო. მართლაც, ბერიძეების ოჯახში და-ძმებს საოცრად უყვართ ერთმანეთი. უმცროსებს უფროსები მფარველობენ, მზრუნველობენ და ეხმარებიან.

თორმეტი შვილის დედა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურობს. მახსოვს როგორც დეპუტატი რა საინტერესოდ და საქმიანად აყენებდა წინადადებებს და რა პირნათლად ასრულებდა რაიონული საბჭოს წევრის მოვალეობას.

ბერიძეების მთელი ოჯახი შეძლებისდაგვარად შრომობს კოლმეურნეობაში. შარშან ბავშვებმა აბრეშუმის მური გამოკვებეს და სამასი მანეთი შემატეს საოჯახო ბიუჯეტს. კარგად უვლიან ვენახის ნაკვეთს, თუთის სანერგეს, გაპიროვნებული აქვთ სიმინდის ყანა და ყოველთვის გეგმის გადაჭარბებით აბარებენ სიმინდის მოსავალს. შარშან ექვსასი კილოგრამი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, წელს ორ ტონამდე ფიქრობენ ჩაბარებას.

ათეული წლების წინ დარყის დაწყებით და ჭალის საშუალო სკოლებში, სადაც ბერიძეთა ნაგრამი სწავლობს, მოსწავლეთა სიჭარბე იგრძნობოდა; მერე ხალხმა ქალაქისკენ გაიწია, „ორშვილიანობის მოდა“ სოფელსაც მოედო და სკოლებშიც თანდათან შემცირდა კლასები... მაგრამ იმედია ბერიძეები ქალიშვილებს გაათხოვებენ, რვა ბიჭი რძლებს მოჰგვრის ოჯახს, გაუჩნდებათ შვილები, ისევ იმძლავრებს სოფელი, ისევ შეივსება სკოლა.

—რას ეტყოდით ჩვენს ახალგაზრდა დედებს-მეთქი — ვკითხე ვალენტინას.

—მე ნასწავლი ქალი არა ვარ, მაგრამ ერთი მაინც შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, მხოლოდ და მხოლოდ ბევრი შვილია საწინდარი ჩვენი უკვდავებისა;

...ახალგაზრდა დედებს მოვაგონებ აკადემიკოს კოტე ჩაჩავას ანდერძივით დარჩენილ სიტყვებს: „გადადეთ ავეჯის შეძენა, ბინის მიღება, მანქანის ყიდვა, ყველაფერს მოასწრებთ, ოღონ ნუ გადადებთ დედობას... დედობა უზენაესი დანიშნულებაა“.

ბაბო ხვედელიძე,

## იყო აგვისტო—მარიამობა...



მზე მყინვარწვერზე მდგარი გლოცავდა,
(წინაპართ სულმა გძერწა ასეთად),
რადგან ღვთიური მადლი გმოსავდა,
ახდენდი ჟამთა გადაფასებას.
იმ ღამეს ზეცაც შეეპყრო სევდას,
თეთრი სუდარით იდგა მარიამ,
ფეხდაფეხ მტერი იმასა სდევდა,
ვინც ქვეყნისათვის ბაზმა, ფარია.
იყო აგვისტო — მარიამობა...
და ნაწვიმარზე — ფლოქვები ცხენთა,
წინამურის გზა... მზაკვრობით გმობა...
ზარების მოთქმით გოდებდა მცხეთა.
ვერვინ დაჩრდილავს ნიჭს და გენიას —
(ბოროტ თვალთაგან ავის მკვესელი),
რამ მოავლინა, გამაგებინა
ქვეყნად შურის და მტრობის მთესველი.
მზეს არ უნდოდა თვალის გახელა,
მოქუფრულიყო ნაწამები ცა,
მიწა ტიროდა კაცის ნახელავს
მწვანე ბალახის წამწამებითა.
სიკვდილ-სიცოცხლეს დავა გაებათ...
მე აღარ დავალ ფიქრთა ამარა,
რადგან სიკვდილი თვით უკვდავებამ
სამარადისოდ დაასამარა.

## მთებზე შემდგარი

მთებზე შემდგარი გნახე ნატანებს,
ცა მხრებზე გფენდა ნისლის მანდილებს,
ზღვასიხარულად გულში გატარე
და სულში ლამაზ ფიქრად დაგტიე.
მე გეუბნები, რომ ზღვა ხარ დიდი,
მიუწვდომელი და თან უბრალო,
რომ შენ ხარ რწმენა — სიცოცხლის ხიდი,
რომ ხარ მაღალი და თან უბადლო.
რომ შენ ხარ წყარო, წმინდა და ნაზი,
ჩემამდე მოხველ მთათა უბნებით
და, რადგან ვიცი სიცოცხლის ფასი,
(და წამის ფასი) ვერ გეუბრები,
მაგრამ გაგცილდი ვით ვინმე მგზავრი,
გავუფერულდი, გაქრა ალერსი
და, გაჩნდა ბზარი,
და, გაჩნდა ბზარი
იმ თაკარა მზის სიმხურვალეში.

მას აქეთ სათქმელს გულში ვერ ვიტევ
და გრიგალების სუნთქვად ვივსები
დღეს ჰომეროსის ვგავარ თერსიტეს,
მე შევიმატე ძალა სფინქსების.
გადამიფითრდა თმა და ლაწვები,
ჩემი ღრმარწმენის ძალას ვფიცავდი,
სიცარიელის კედლებს ვაწყდები
ცის გუმბათიდან დედამიწამდის.
ჩემი სიხელე ზღვებსაც მოედვა,
არ მოველოდი მე ამგვარ შედეგს,
რომ ჩადგებოდა ჩვენ ორს შორის
ურწმუნოება
ყველაზე სათუთ,
ყველაზე ნათელ,
ყველაზე ლამაზ
სიმღერის შემდეგ.

რუსუდან მქერვალიშვილი

## გარდასახვა

თუკი გაზაფხულს ველარ მოვუსწარ,
თუ ვერ ვუმღერე მაისში ვარდებს,
ნუ გამოხურავ სიხარულის კარს,
გულს ნუ გაიტეხ, ნუ დაიდარდებ...
აქ შევაფარე ყვავილებს თავი,
გვირილებიდან კვლავ ზეცას ვუმზერ
მეჩურჩულება დილის ნიავი,
ხან კი ალერსით მეხვევა გულზე.
იქნებ იქ ავყვე ღრუბლის თეთრ ქულას,
ცისარტყელაზე მივენდო ფიქრებს,
ვიცი, მზე ოქროს გვირგვინს დამხურავს,
ან მთებში ნისლად ვეწვევი ირმებს...

ვერ დავთმობ, თუნდაც მიწა იძროდეს,
ბუნება ჩემი სამოსახლოა,
სახეშეცვლილი მოვალ, იცოდე,
აქ ჩემი სული სადღაც ახლოა...
სიმღერად მოვალ... სიმთა ფერების,
იმ უფაქიზეს თრთოლვად და ღელვად,
და ჩუმჩუმურად მოვეფერები,
სულში ნაპერწკალს აგინთებ ელვად,
როგორც სიმღერა, როგორც ლექსები,
ტკბილ ხმოვნად მოვალ შენდა იმედად,
გაიხარებენ ჩემი ფესვები
და ჩუმ ლოცვებში ჩაეძინებათ...

თამარ აბულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთერ ბოცვაძე,
პროფესორი, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი.

# კაცობრიობის უმძიმესი განსაცდელი

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი) ინფექციური დაავადებაა. იგი კაცობრიობისათვის უკვე იმდენად მწვავე პრობლემაა, რომ მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. რას არ უწოდებენ მას: „ახალ მომაკვდინებელ დაავადებას", „მეოცე საუკუნის შავ ჭირს", „ახალ სამედიცინო და სოციალურ პრობლემას"; ადარებენ ნეიტრონული ბომბის აფეთქებას, თვლიან „პანდემიის მასშტაბის კატასტროფად".

მეცნიერთა ასეთ შეშფოთებას თავისი საფუძველი აქვს. შიდსის ვირუსი საზღვრებს არ სცნობს. დაავადების პირველი შემთხვევების აღრიცხვიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ დღეისათვის იგი უკვე ასზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა. შემოიჭრა საბჭოთა კავშირშიც.

საერთაშორისო სტატისტიკა შემაშფოთებელია. დაავადებულთა 70 პროცენტი უკვე დაიღუპა. ამასთან ახალდაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად ორჯერ იზრდება.

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერები. ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო კონფერენციები. გასულ წელს, რიგით მესამე კონფერენცია გაიმართა ვაშინგტონში, სადაც 6 ათასზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებაში ჩვენი ქვეყანაც მონაწილეობს.

სხვა ინფექციურ დაავადებებისაგან შიდსი იმით განსხვავდება, რომ აზიანებს უშუალოდ ორგანიზმის თავდაცვის უნარს, იმუნურ სისტემას.

დაავადება კაცობრიობას უამრავი პრობლემის წინაშე აყენებს, რადგან იგი არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალური მოვლენაა. ამასთან, შიდსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანისათვის მეტად ფაქიზ მორალურ-ზნეობრივ თუ ეთიკურ პრობლემებთან.

## შიდსის ყველას უნდა ეშინოდეს

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომით პირველ რიგში ავადდება ჰომოსექსუალი, ნარკომანი, ვენერული დაავადებებით შეპყრობილი და მეძავი.

ასეთი იყო შეხედულება დაავადების გავრცელების დასაწყისში. მალე გაირკვა, რომ შიდსი საზოგადოების სხვა ფენებსაც ემართება. შიდსით დაიღუპნენ ეკრანის ვარსკლავი როკა ჰადსონი, ცნობილი პიანისტი ლიბერაჩი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრი, რომელსაც შიდსის ვირუსით ინფიცირებული სისხლი გადაუსხეს და სხვ.

იგი არც ასაკს არჩევს, არც სქესსა და არც სოციალურ მდგომარეობას.

## „აფრიკული ჯაჭვი"

„ჩვენში შიდსი „იმპორტულია" — აღნიშნა ერთ-ერთ გამოსვლაში აკადემიკოსმა ვ. ი. პოკროვსკიმ.

ეს მართლაც ასეა.

პირველი საბჭოთა მოქალაქე, რომელიც შიდსითაა დაავადებული აფრიკაში იყო მივლინებული და იქ თარჯიმნად მუშაობდა. სამშობლოში დაავადებული დაბრუნდა. როგორც შემდგომში გაირკვა, იგი ჰომოსექსუალისტია და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა 24 ახალგაზრდა ვაჟთან. ისინი გამოიკვლიეს და მათგან 5 შიდსის ვირუსით აღმოჩნდა ინფიცირებული. ერთმა შიდსი საცოლეს გადასდო — მეცხრეკლასელ გოგონას, მეორემ — მეუღლესა და საყვარელს. მეუღლემ — შვილს.

ეს პირი ამავე დროს დონორიცაა და მისი სისხლით რამდენიმე მოქალაქეც დაავადდა. ამ ხუთეულიდან მესამემ დაავადება გადასდო მის რამდენიმე პარტნიორს და ა. შ.

ასე შეიკრა „აფრიკული ჯაჭვი".

აქვე უნდა ითქვას, რომ ეპიდემიური ჯაჭვის განშტოებათა კვლევა მეტად რთული და შრომატევადია. ეს თუნდაც იმიტომ, რომ პირველი ავადმყოფის 24 კონტაქტიდან შემდეგ ყველას ჰქონდა კავშირი სხვადასხვა ქალთან და ამ კონტაქტების უმრავლესობა, სამწუხაროდ ანონიმურია: პარტნიორები სახითაც კი ვერ ცნობენ ერთმანეთს.

ვირუსით ინფიცირებულნი ამჟამად დაავადების ფარულ ფაზაში იმყოფებიან და ინფექციის წყაროს წარმოადგენენ, — კონტაქტის შემთხვევაში ასნებოვნებენ ჯანმრთელებს.

„აფრიკულ ჯაჭვთან" დაკავშირებით საინტერესოა ასეთი ფაქტი: ეპიდემიოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყოველი 100 უცხოელი სტუდენტიდან ერთი შიდსის ვირუსითაა ინფიცირებული. ამიტომ აუცილებელია არა მარტო ამ სტუდენტთა, არამედ იმათი გამოკვლევაც, ვისაც კი მათთან ურთიერთობა აქვთ, რადგანაც თითოეული მათგანი შეიძლება გახდეს ახალი ინფექციის „ჯაჭვის" მიზეზი.

შიდსის გავრცელების მხრივ განსაკუთრებით საშიშია მეძავი, რომელიც ინტიმურ კავშირს ამყარებს აფრიკიდან და ამერიკიდან ჩამოსულ უცხოელებთან. დაავადების საფრთხე ყველაზე მეტად იმას ემუქრება, ვისაც ბევრი სქესობრივი პარტნიორი ჰყავს. ამის დადასტურებაა „აფრიკული ჯაჭვი".

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: შიდსის თავიდან აცილების ყველაზე რეალური გზა ადამიანის ზნეობრივი და სულიერი სიწმინდეა.

## ზნეობრიობის ლაკმუსი

პროფილაქტიკის ერთერთი ძირითადი ღონისძიებაა რისკის ჯგუფებში შიდსის ვირუსით ინფიცირებულ პირთა დროული გამოვლენა. ამ ღონისძიების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მოსახლეობამ.

თუ მხედველობიდან არ გამოგვრჩება ჰომოსექსუალიზმის, პროსტიტუციისა და ნარკომანიის არც ერთი შემთხვევა და არავის ვაპატიებთ ამგვარ ზნეობრივ დაცემას, ამით საგრძნობლად შევამცირებთ შიდსის სწრაფი გავრცელების საშიშროებას.

განსაკუთრებით დიდი საფრთხეა ჰომოსექსუალიზმი და სხვა სქესობრივი გაუკუღმართება. ამას სტატისტიკა ადასტურებს.

ყოველი 100 დაავადებულიდან 75 ჰომოსექსუალისტია. ამიტომ მამათმავლობასთან ბრძოლის გაძლიერება თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოები.



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულ ახლო მომავალში შიდსი გახდება ლაკმუსის ქაღალდი“, — რომელიც გამოავლენს ჩვენს სოციალურ სიმწიფეს“, (ვ. ი. პოკროვსკი), იგულისხმება არა მარტო მედიკოსები, არამედ ყველა სპეციალობის მუშაკები.

### ხალხის მოთხოვნა

1987 წლის 26 აგვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შიდსის ვირუსით ინფიცირების პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ. ბრძანებულებას საფუძვლად დაედო ხალხის მოთხოვნა, დაისაჯოს ის პირი, ვინც შეგნებულად გაავრცელებს დაავადებას.

საქართველოში ოდითგან შეურიგებლობას იჩენდნენ ზნეობრივი დაცემისადმი. სულმნათი შოთა რუსთაველი იმასაც კი ამბობდა, „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუშიო“. ასეთმა მაქსიმალიზმმა ბევრჯერ იხსნა ჩვენი ხალხი აღმოსავლური გარყვნილებისაგან, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო ამ ბოლო დროს შეინიშნება სხვადასხვა სქესობრივი გაუკუღმართების ერთგვარი მოძალება, რაც ეტყობა, იმის შედეგიც არის, რომ სასამართლო პრაქტიკიდან თითქმის გაქრა ამ სახის დანაშაულისათვის პასუხისგება.

ამჟამად მუშავდება შიდსის საწინააღმდეგო ერთიანი საერთაშორისო წესები. ჩვენშიც ტარდება სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, რომელთა შესატყვისად რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე გამოსცა ბრძანებები. მაგრამ მხოლოდ ამ გზით უმძიმეს სატკივარს სალბუნი არ დაედება.

გზას ამ სენის წარმომშობი გარემო გვიჩვენებს: საჭიროა შეურიგებლობა ზნეობრივი დაცემის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ და ეს შეურიგებლობა სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენითაც უნდა განმტკიცდეს.

### რას ნიშნავს ანონიმური გამოკვლევა?

ვთქვათ ეჭვი შეგეპარათ, რომ თქვენ ინფიცირებული ხართ შიდსის ვირუსით. ამის დაზუსტება ძნელი არ არის. თბილისში, ახათიანის ქუჩაზე, 9 ნომერში, შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურში და პავლოვის 16 ნომერში, რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოში გახსნილია ანონიმური კაბინეტები, სადაც შეიძლება დააზუსტოთ, ნამდვილად ხართ თუ არა ინფიცირებული შიდსის ვირუსით.

### მიმართეთ ანონიმურ კაბინეტს!

გახსოვდეთ! ანონიმურ კაბინეტში მისვლისას არ მოგიხდებათ გვარისა და სახელის დასახელება, არც მისამართს მოგთხოვენ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როდესაც პაციენტი ექიმს მიმართავს.

შეავსებთ ანონიმურ ანკეტას, რომელშიც აუცილებლად მიუთითებთ იმ ზოგიერთ ნიშანზე, რომელმაც დაგაეჭვათ.

შიდსის ნაადრევი კლინიკური ნიშნებია: ლიმფური კვანძების გადიდება, საერთო სისუსტე და წონაში დაკლება, ხანგრძლივი ცხელება და სხვ.

ანკეტაში მიუთითებთ აგრეთვე ცნობებს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თქვენი ცხოვრების წესის ზოგიერთი დეტალის შესახებ. აღნიშნავთ ამავე პერიოდში გადაგისხიათ თუ არა სისხლი, გამოიყენეთ თუ არა უხარისხოდ გასტერილებული სხვისი შპრიცი ან ნემსი და სხვ.

იმახსოვრებთ ანონიმური ანკეტის ნომერს. მეორე ან მესამე დღეს ტელეფონით, ანკეტის ნომრის მიხედვით, გაიგებთ გამოკვლევის შედეგს. გვარს არ ასახელებთ.

შიდსის ანონიმური კაბინეტები გახსნილია სხვა ქალაქებშიც. მოსკოვის ანონიმურ კაბინეტს, რომელიც მოსკოვის მეორე კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოშია გახსნილი (სოკოლნაია გორას ქ. № 15), ყოველდღიურად ორასიდან ოთხასამდე ადამიანი მიმართავს. მათ შორის მატულობს ნარკომანების, მეძავთა და იმ მამაკაცთა რიცხვი, რომლებიც უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას ეწევიან (ჰომოსექსუალები). ამის შესახებ ისინი თვითონვე მიუთითებენ ანონიმური ანკეტის შევსების დროს.

მაშ ასე, თქვენ გაქვთ საშუალება, რომ ანონიმურად ჩაატაროთ გამოკვლევა და გაუხმაურებლად გაიქარწყლოთ ეჭვი, ან დააზუსტოთ ინფიცირებული ხართ თუ არა შიდსის ვირუსით. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან დიაგნოზის დაზუსტებითა და პროფილაქტიკური მკურნალობის ადრეულ პერიოდში დაწყებით შესაძლოა თავიდან აიცილოთ საბედისწერო შედეგი.

### მორალი, რომელიც შიდსმა შემოგვთავაზა

შიდსის ვირუსის ცვალებადობის უნარი 100-ჯერ მეტია, ვიდრე გრიპის ვირუსებისა. ერთ ადამიანშიც კი ვირუსის რამდენიმე შტამი შეიძლება იყოს. დაავადების გამომწვევი ვირუსის ასეთი ცვალებადობა ართულებს შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნას. მისი მიღება, ვფიქრობთ, საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

დღეს შიდსის საწინააღმდეგო წარმატებული ბრძოლის ერთერთი აუცილებელი წინაპირობაა სწორი და ამომწურავი ინფორმაციის გათვალისწინება და ის, რაც ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნეთ: ცხოვრების ჯანსაღი წესი, ოჯახის ერთგულება, ხიწმინდე და სიფაქიზე სქესობრივ დამოკიდებულებაში, ნარკომანიისა და მეძავეობის აღმოფხვრა.

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

მოვუხმოთ მორალს, რადგან შიდსმა კიდევ ერთხელ გააფრთხილა კაცობრიობა, რომ ზნეობრივ დაცემას ლედაბუნება სჯის!

ვიდრე მათი საქმიანობის შესახებ ჟურნალ-გაზეთები ახმიანდებოდნენ, ყურმოკრულად ვიცოდით, რომ ძმები ტატიშვილები — ზვიადი, ზორბეგი და ალექსანდრე დიდ საქმეს იყვნენ შეჭიდებულები. კოოპერირებაზე დადგენილება გამოვიდა თუ არა, არცერთი წელი ძმებს უქმად არ გაუცდენიათ, ძირითად სამსახურებში იყვნენ დასაქმებულები და თან ყოველწლიურად 11 ტონაზე მეტ ხორცს აბარებდნენ სახელმწიფოს. მერე საკარმიდამო ნაკვეთში საცხოვრებელი ბინის გასწვრივ პირუტყვის სადგომი გააფართოვეს, მეურნეობის უვარგისი, ყოფილი ფერმის შენობაც შეაკეთეს და 100 სული ღორი შეიძინეს. ეს იყო 1980 წელს. იმ წელს ისევ 11 ტონა ხორცი აწარმოეს, მომდევნო წლებში ეს ციფრები 50 ტონამდე გაზარდეს. დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდა სამი ოჯახის ყველა წევრი. მათ ხელს უმართავდნენ და გვერდში ედგნენ მშობლები — წარსულში სახელოვანი კოლმეურნეები — დედა — ელენე მიქელაძე და მამა სამამულო ომის ინვალიდი გიორგი ტატიშვილი. მართალია, ხორცის ჩაბარების თაობაზე ხელშეკრულება ჰქონდათ საბჭოთა მეურნეობასთან გაფორმებული, მაგრამ ათასნაირი დავიდარაბა მაინც დაატეხეს თავს იმ წელს ამ ოჯახის წევრებს. გავიდა დრო. ალალი შრომით ძმებმა სახლებიც წამომართეს, საკარმიდამო ნაკვეთებში ავტომანქანები დააყენეს, რის გამოც, მავანი და მავანი უფრო მეტად გაღიზიანდა. თვალში ნაცარს აყრიდნენ ძმებს. შურმა დღითიდღე იმატა. ტატიშვილები გაუტეხელი სულისანი გამოდგნენ. მართალი კაცი სალ კლდეზე მაგარიაო, უთქვამთ და ისინიც არ შეუშინდნენ შეურაცხყოფას, დამცირებას, უმატეს შრომას, მიხედეს თავიანთ საქმეს. არცერთი კილოგრამი ხორცი არ გაუყიდიათ ბაზარში, ყველას უკლებლივ სახელმწიფოს აბარებდნენ. პარალელურად მილიცია-პროკურატურასაც უნდა გამკლავებოდნენ. ივსებოდა დაკითხვის ოქმები, საათობით დროს აკარგვინებდნენ უქმად. შური, სხვის ჯიბეში ხელის ფათური არ ასვენებდათ ავისმქნელებს.

# „მუხრანის ველი“ თბილისში



კოოპერატივის წევრები (შუაში ზვიად ტატიშვილი)



გულო ტატიშვილი




მაღაზია „მუხრანის ველი“



აშენებენ სათბურს

...კოოპერატივის თაობაზე დადგენილებამ სულზე მოუსწრო წლობით ნაჯაფარ ძმებს და წელში გაიმართნენ, ტატიშვილების ოჯახებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. გაჩნდა აბრა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის განაპირას მდებარე ფერმის შენობაზე: „კოოპერატივი „მუხრანის ველი“. იგი ჩამოყალიბდა 1987 წლის აგვისტოში. მასში გაერთიანებულია 4 ოჯახის 11 წევრი — სამი ძმა თავთავიანთი ოჯახებით და დედ-მამა. 1988 წლის იანვრამდე წარმოებული და რეალიზებულია 7 198 მანეთის რძის პროდუქტები, 5 145 მანეთის ბურვაკის და საქონლის ხორცი, 5 ტონა შაშხი. სულ კოოპერატივის შარშანდელმა შემოსავალმა შეადგინა 18.680 მანეთი. მაშინ, როდესაც მუხრანის საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც 600-მდე (ფაქტობრივად ღმერთმა უწყის აქედან რამდენია ნამდვილი მშრომელი) მუშახელია დასაქმებული, 49,5 ტონა ხორცს აწარმოებს ყოველწლიურად.

მეორე აბრა თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე ერთ-ერთ შენობას ამშვენებს. აბრა აუწყებს მნახველს, რომ კოოპერატივის ბაზაზე გაიხსნა მაღაზია „მუხრანის ველი“, რომელმაც ორი თვის მანძილზე 40 ათასი მანეთის პროდუქცია ივაჭრა. მაღაზიაში სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქტების სიუხვეა. დახლებზე ალაგია: ძროხისა და ღორის ხორცი, ლორი, კუპატი, ხაში, მუჟუჟი, სულგუნი, რძე, არაჟანი. ფასი ბაზართან შედარებით შეღავათიანია, ხოლო, როცა პროდუქტის თვითღირებულება შემცირდება (ამის რეალური შესაძლებლობა კოოპერატივს უკვე გააჩნია), ფასიც შესაბამისად დაიკლებს. დღეისათვის ზოგიერთი პროდუქტის დამზადება გასაყიდ ფასთან შედარებით 60-70 კაპიკით მეტი უჯდებათ, ზოგისა კი ნაკლები, მაგრამ „მუხრანის ველი“ ავტორიტეტს უფრთხილდება, მაგალითად, ლორის შებოლვა, კუპატის და ღორის ხორცის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე იყიდება. კოოპერატივს თითოეული სახეობის პროდუქტიდან მოგების სახით 20-30 პროცენტი რჩება, რომელიც სავსებით ყოფნის სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად, დანარჩენი თანხა მთლიანად სახელმწიფო ხაზინას ემატება. მოსამზადებელი სამუშაოებისათვის მას სახელმწიფომ საკმაოდ სოლიდური თანხა გამოუყო, თანახმად კოოპერატივის ჩამოყალიბების პრინციპისა.

ახლა ტატიშვილებს 70 სული ფური ჰყავთ, აქედან 20 მეწველია, გაისისათვის 200 სული მეწველი და 200 სული სახორცე ეყოლებათ, გარდა ამისა, კიდევ 800 სული ღორიც უნდა შეიძინონ. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიყვანენ ველის წითელ და შვიცის ჯიშის პირუტყვს. აშენებენ ახალ, მექანიზებულ ფერმას. მეურნეობისაგან იჯარით 100 ჰექტარი მიწა აიღეს. რაც ამ ფართობზე საკვების (ქერის) მიღება იყო განსაზღვრული, იმის საფასურს კოოპერატივი უკლებლივ უხდის მეურნეობას. 85 ჰექტარზე უკვე დათესილია სიმინდი და საქონლის საკვები იონჯა, რომელსაც წელიწადში სამჯერ გათიბავენ. ეს სასილოსედ. ცეკავშირის გამგეობა კოოპერატივს კომბინირებული საკვებითაც მოამარაგებს. დანარჩენ 15 ჰექტარზე მოიყვანენ კიტრს, პამიდორს, კომბოსტოს, ჭარხალს, სტაფილოს, მწვანილს. მოაწყობენ საკონსერვო საამქროს. იქ დამზადებული პროდუქტები ზამთარ-ზაფხულ გაიყიდება მაღაზია „მუხრანის ველში“. ახლა ტატიშვილების ფერმის განაპირას ერთ ჰექტარზე შენდება სასათბურე მეურნეობა, ვინაიდან საქართველოში ბოლო წლებში ღია გრუნტში გაძნელდა კიტრის მოყვანა, სათბურში მიიღებენ კიტრის ერთ მოსავალს, შემდეგ კი მთელი ზამთრის პერიოდში დათესავენ სხვადასხვა სახეობის მწვანილს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ამოდენა ფართობებს, ფერმებს, პროდუქტების ტექნოლოგიურ პროცესებს 11 კაცი განა გაართმევს თავს? ამისათვის დაიქირავებენ 20 პენსიონერს ან მეურნეობაში დაუსაქმებელ მუშახელს. ბავშვები და ქალები მშვენივრად არიან დაუფლებულნი საბოსტნე სამუშაოებს, პირუტყვის მოვლას, რძის წარმოებას, შაშხის შებოლვას. ფურების მანქანებით წველას რძლები და გოგონები იკისრებენ, ტრაქტორს და ავტომანქანას (საკუთარი საბარგო და პროდუქტების გადასაზიდი ავტომანქანები, 1 ტრაქტორი და 1 ლაფეტი აქვს კოოპერატივს, ცეკავშირის გამ-

გეობის შემწეობით) კაცები მოემსახურებიან.

კოოპერატივს დიდ დახმარებას უწევენ აგროსამრეწველო კომიტეტი, ცეკავშირის გამგეობა და რაიონის ხელმძღვანელობა. მათი ზრუნვის შედეგია, წესრიგში რომ აქვთ ძეხვისა და სოსისის დამამზადებელი დანადგარები, სასაკლაო, სამაცივრო ოთახი, გიგანტი ელექტროხორცსაკეპი, შაშხის შესაბოლი, ყველის მოსახარში ქვაბები... მათთან შეთავსებით მუშაობს სოფლის ვეტექიმი, რომელიც პასუხისმგებელია ხორცის და რძის პროდუქტების ხარისხზე. კოოპერატივის თავკაცი, უფროსი ძმა ზვიადი დაჯილდოებულია ნიჭით და უნარით \ თავი გაართვას კოოპერატივის შემოსავალ-გასავალს. გავა დრო. და როცა შემოსავალი მილიონ მანეთ მოგებას მიაღწევს, აი, მაშინ აუხდებათ ძმებს ბავშვობის ოცნება — სოფელს აუშენებენ სპორტულ კომპლექსს, სოფლის გაზიფიცირებისათვის 25 პროცენტს კოოპერატივი გაიღებს. თანაც მუხრანის ყოველგვარ კეთილმოწყობაშიც შეიტანენ გარკვეულ წვლილს.

— სოფელში ყველა მარტოხელა, უპატრონო და მიუსაფარი ამ ძმების მისახედია, მათი სახით მისაბაძი, სამაგალითო ვაჟკაცები გვყავანან.

— ვინ მოსთვლის, რამდენი სიკეთე მოუტანეს დღემდე თავიანთ რაიონს, სოფელს. მომავალი ხომ ჯერ წინა აქვთ. სამივენი ახალგაზრდები არიან, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას მოველით მათგან, — გვითხრა ლენინგრადის ბლოკადის მონაწილემ, მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ, პენსიონერმა გიორგი მჭედლიშვილმა.

კოოპერატივის წევრებისათვის, ტატიშვილების ოჯახებისათვის და მთელი სოფლისათვის დიდი პატივი იყო რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელის სტუმრობა, მისი გულითადი საუბარი. მან დადებითად შეაფასა კოოპერატივის მუშაობა, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის საქმეში.

ნანული ბუკია

# კროსვორდი



**თარაზულად:** 5. საცირკო წარმოდგენებისათვის განკუთვნილი ბრეზენტის კარავი. 7. ქართული კინოფილმი. 8. შგნ დამზადებული აბრეშუმის თხელი ქსოვილი. 9. ქალაქი ოდესის ოლქში. 10. მრავალშრიანი ფანერა. 13. ვალის წინდი. 15. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში. 17. ქალის ფართო გრძელი წამოსასხამი პერელინით და ხელის გასაყოფი ჭრილებით XIX საუკუნეში. 18. ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი. 19. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით. 21. ინდოელი კინორეჟისორი და მწერალი. 23. ერთგვარი კანფეტი. 25. იტალიელი კომპოზიტორი. 27. მომჭირნეობა. 28. თეატრი, რომელშიც ახალგაზრდა დამწყები მსახიობები თამაშობენ. 29. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.

**შვეულად:** 1. უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. 2. ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული. 3. მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი. 4. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი. 6. ადამიანის მოქმედების უმაღლესი მიზანი. 11. შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი ძველ ხელნაწერებში. 12. აზიის სახელმწიფო. 13. ძლიერი, გამანადგურებელი ქარი. 14. სახელო და მხარი — ერთი ნაჭრისაგან გამოჭრილი პალტოს ან კაბის ფასონი. 15. სპორტული თამაშის ხანგრძლივობის გარკვეული ნაწილი. 16. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი. 20. ჯარისკაცი თურქეთში. 22. მინერალი, ბარიუმის ბუნებრივი სულფატი. 24. სურნელოვანი სითხე. 25. სქელი და მაგარი ქაღალდი. 26. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში.

შეადგინა ც. კასრაძემ

# ჩვენკენ გამოწვდილი ხელები



ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნინო მგალობლიშვილი (მარცხნივ)

თბილისის №11 პოლიკლინიკაში ხშირად საინტერესო საკითხებზე იმართება შეკრება.

ყოველი ბავშვი ბედნიერი უნდა იყოს! — ასე მიმართა იმ საღამოს მონაწილეებსაც ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო მგალობლიშვილმა, — ყველამ ვიცით, შეიქმნა ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება, რომელსაც საფუძვლად დაედო ადამიანური მოვალეობის მაღალი შეგნება.

უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების დახმარება, ეს არის უდიდესი ჰუმანიზმი. ქალი ხომ პირველ რიგში დედაა და ბავშვებზე ზრუნვა და ფიქრი მისი ცხოვრების მთავარი აზრია. მედმუშაკი ქალების დახმარება იმ ბავშვებისადმი, რომლებიც მოკლებულნი არიან დედ-მამის სითბოსა და ალერსს, მთელმა კოლექტივმა გულთან ახლოს უნდა მიიტანოს.

ბავშვები ხელებს გვიწვდიან, მივიდეთ მათთან, დედური სითბო და ალერსი მივაგებოთ, მივეფეროთ.

იმ საღამოს ნინო მგალობლიშვილმა პოლიკლინიკის მუშაკებსა და საერთოდ, ქალაქის მედმუშაკებს მოუწოდა — ერთი დღის ხელფასი გადარიცხონ ბავშვთა ფონდში.

თბილისის მე-11 პოლიკლინიკის ქალთა საბჭომ გადაწყვიტა მიაკითხონ საბავშვო დაწესებულებებს, სადაც არიან ობოლი თუ მიტოვებული ბავშვები, მატერიალურ დახმარებასთან ერთად დედური სითბოც აგრძნობინონ პატარებს, წაიყვანონ შინ, დაიახლოვონ, გული გაუთბონ.

ეს იყო ამაღლებული საღამო. ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა იმ შეკრებაზე. ქალთა საბჭოს ყოველთვის აქტუალური საკითხები გამოაქვს განსახილველად: ახლადშექმნილი და მრავალშვილიანი ოჯახებისადმი დახმარება, მრავალშვილიან, მარტოხელა დედებზე და უპატრონო მოხუცებზე ზრუნვა.

უპატრონო მოხუცებზე ზრუნვა— უზარმაზარი სიკეთეა. ბარაქალა პოლიკლინიკის მუშაკებს, მის ქალთა საბჭოს, იმ 21 ქალს, რომლებიც გვერდში უდგანან ხელმძღვანელობას!

თბილისის კიროვის რაიონის მე-11 პოლიკლინიკა ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულებაა ქალაქში და იმითაც გამოირჩევა, რომ სხვადასხვა ეროვნების მედპერსონალი შეხმატკბილებულად ცხოვრობს და შრომობს ნინო მგალობლიშვილის თავქალობით.

„ნინო მგალობლიშვილი პოლიკლინიკის მთავარ ექიმად 1960 წლიდან მუშაობს. მან თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა. მისი მონდომებითა და დაუღალავი შრომით მე-11 პოლიკლინიკა ერთ-ერთ მოწინავე დაწესებულებად ითვლება ქალაქში. ქალბატონ ნინოს ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ვიწრო სპეციალობის კაბინეტები და პროფილაქტიკური განყოფილება, რამაც საფუძველი დაუდო მასიურ დისპანსერიზაციას.

პოლიკლინიკა სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ დათვალიერებაში და მიღებული აქვს სიგელები.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ნინო მგალობლიშვილი სკკპ წევრია 1959 წლიდან, არის პარტიის კიროვის რაიკომის პლენუმის წევრი. მრავალგზის იყო არჩეული ქალაქისა და რაიონის საბჭოს დეპუტატად, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, სიგელები, მადლობები, მინიჭებული აქვს ექიმის პირველი კატეგორია.

ამავე დროს, ნინო მგალობლიშვილი აქტიურად მონაწილეობს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არის საზოგადოება „ცოდნის" ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორი.

ღვაწლმოსილი ქალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის მოსახლეობაში და მის კოლეგებს შორის".

ამ სამსახურებრივ დახასიათებას ხელს აწერს თბილისის კიროვის რაიონის მთავარი ექიმი.

ჩვენც დავუმატებთ რამდენიმე სტრიქონს ქალბატონი ნინოს პირადი თუ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

როგორი დედაა? — სამი კარგი შვილი აღუზარდა ქვეყანას: უფროსი ქალიშვილი ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკია; ვაჟი მედიცინის მეცნიერებათაა კანდიდატი, თბილისის ქირურგიის ინსტიტუტის მეცნიერმუშაკია, მესამე ქალიშვილი თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოლოგია.

ქალბატონი ნინო კარგი ბებიაა — ოთხი შვილიშვილი ჰყავს და ოჯახის წევრებს, რძალსა და ქალიშვილებს დღენიადაგ გამრავლებისაკენ მოუწოდებს: ჩვენს რესპუბლიკას მრავალი შვილი სჭირდებაო.

შეათავსო პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოვალეობა ქალთა საბჭოს თავმჯდომარის საპატიო საქმესთან, ოჯახის თავქალობასთან, მოითხოვს შრომით ენთუზიაზმს, დიდ ენერგიასა და შემართებას.

ნინო მგალობლიშვილის ცხოვრების გზა დიდი მიზნით არის ნათელმოსილი.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთო სატკივარი

## კრიტიკული გვერდი

„ძვირფასო რედაქციავ! მოგეხსენებათ, ძალზე სასიხარულოა ახალმოსახლეობა, მაგრამ თუ კი უხარისხოდ აშენებულ სახლში მოგვიწევს ცხოვრება, სადაც ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი და თანაც არ გვაქვს შესაძლებლობა (ეკონომიურად და ფიზიკურადაც) ბინაში ახლად დავაგოთ პარკეტი, გამოვცვალოთ კარ-ფანჯრები, წყალგაყვანილობა და ელექტროქსელი, შევღებოთ ჭერი და კედლები, — მაშინ რა ვქნათ? ამას ემატება ცუდი გათბობა, ხშირი ავარიები, ხარვეზები წყალმომარაგებაში და ელექტროქსელში. მდგომარეობას ართულებს ის, რომ დროზე არ იცვლება და არ იწამლება ბუნკერები. ირგვლივ ისეთი საშინელი სუნი ტრიალებს, ისეთი ანტისანიტარიაა, რომ ადამიანს აირწინაღი სჭირდება. ეს სიბინძურე საუკეთესო საშუალებაა ვირთაგვებისა და ბუზების გასამრავლებლად“, — გვატყობინებდა გლდანის მასივის მესამე მიკრორაიონის მესამე კორპუსში მცხოვრები იზა აგიაშვილი.

სწორედ ამის შესახებ ვწერდით კრიტიკულ წერილში — „ასეთი ვაი, სახლები“, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გასული წლის სექტემბრის ნომერში.

მალე წერილს გლდანის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. კიკნაძის პასუხი მოჰყვა. („საქართველოს ქალის“ 1988 წლის №1-ში) იგი გვატყობინებდა, რომ სისტემატურად ხდება ბუნკერების დაცლა და შეწამვლა, ცივი და ცხელი წყლის მიწოდება, ელექტროქურაც შეკეთებულია, გათბობის საქმეც მოგვარებულიაო. საინტერესოა ვინ მიაწოდა ვ. კიკნაძეს ასეთი არასწორი ინფორმაცია). რაც შეეხება აღნიშნულ ბინას, მას შიდა შეკეთება სჭირდება, მაგრამ მოქალაქე იზა აგიაშვილი ამის სასტიკი წინააღმდეგია. იგი მოითხოვს ბინის შეცვლას დედაქალაქის ცენტრშიო. თუ ბინა უვარგისი იყო, — გვწერს ვ. კიკნაძე, — იზა აგიაშვილს მის მიღებაზე შეეძლო უარი თავიდანვე ეთქვა, რადგან წესის თანახმად, მოქალაქის ბინაში შესახლება მის მიერ ბინის წინასწარ დათვალიერების შემდეგ, მისივე თანხმობით ხდება.

თურმე იზა აგიაშვილს თავიდანვე შეეძლო არ შესულიყო ამ ბინაში და უკეთესს დალოდებოდა. ვითომ ეს მართალია? გინახავთ კი, ძვირფასო მკითხველო, რომელიმე ახალი მოსახლე, რომელიც ახალი ბინით კმაყოფილი იყოს? (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დავუშვათ, ვერ მოიცადა იზა აგიაშვილმა და შესახლდა ახალ ბინაში...

დავუშვათ... ახლა იზა აგიაშვილი ბინის შეკეთების წინააღმდეგია და მაიცდამაინც დედაქალაქის ცენტრში უნდა გადასვლა. რა იმედით? ვინ დათანხმდება ცენტრიდან ქალაქის გარეუბანში, ასეთ მოუწესრიგებელ ბინაში გადაცვალოს თავისი ბინა?

იზა სულაც არ ედავება გლდანის რაისაბჭოს აღმასკომს. საქმე იმაში გახლავთ რომ იზა აგიაშვილი, ორი შვილის დედა, თავის ყოფილ ბინაში მოითხოვს დაბრუნებას. ის და მისი მეზობლები ქალაქის ცენტრში, მშვენიერ ადგილზე (კიბალჩიჩის ქ. №9) ცხოვრობდნენ. ძველი თბილისის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მობინადრეები გამოასახლეს, აქ მუზეუმი უნდა გავხსნათო. შემდეგ კი რატომღაც, სხვები შეასახლეს. მიზეზი? არავინ უწყის. (ამაზე წინა წერილშიც ვწერდით), ჯანდაბას, როგორმე მოითმენდა კაცი ასეთ მოტყუებით გამოსახლებას, ხეირიანი ბინა რომ მიეცათ. იზას მეზობლებმა, როგორც შეძლეს, ისე შეალამაზეს ბინები, იზა აგიაშვილმა კი ეს ვერ შესძლო უსახსრობის გამო. მისი ბინა კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს და არა ისეთს, როგორსაც პირდებიან. ამიტომაც ამბობს უარს შერემონტებაზე.

განა მარტო იზაააა ამ დღეში? მისი მეზობლები: ქ. თეთრაძე, ე. ბოლქვაძე, ც. ტურავა და სხვებიც მწვავედ განიცდიან, რომ მათ ყოფილ ბინებში სხვები არხეინად ცხოვრობენ და თვითონ კი საწყალობლად გაუხდათ საქმე. ამიტომაა, რომ იზა აგიაშვილი საჩივარს საჩივარზე წერს...

მისგან მეორე წერილი მივიღეთ, სადაც ვ. კიკნაძე გამოხმაურებაში აღნიშნულ ფაქტებს არ ეთანხმებოდა. ჩვენ ბინაზე ვეწვიეთ მას, დავათვალიერეთ იქაურობა, ვესაუბრეთ მეზობლებსაც. სამწუხაროდ, გათბობა წლეულს სულ არ ჰქონიათ. სიცივისაგან დაავადდა მოქალაქე მარიამ ბაგაშვილი. მისი მეუღლე მომავალი ზამთრისათვის თიანეთიდან შეშის ჩამოტანას აპირებს. არც წყლის საქმეა კარგად, ცივი წყალი მეორე სართულამდე ვერ აღწევს, ცხელი წყალი კი იშვიათად მოდის ონკანში, ისიც ნელ-თბილი. ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორი ჩამოშავებულია იზას ბინის კედლები, კიდევ უფრო ჩამოწეულა და დაბზარულა ჭერი, ისევ ისე მორყეულია კარ-ფანჯრები. კორპუსის წინ სანაგვე ბუნკერთან ნაგვის გორა დგას...

ახლა, გარდაქმნის ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, ბოლო უნდა მოეღოს თვალის ახვევას. ყველამ სინდისიერად ვაკეთოთ საქმე, რათა პირნათელი ვიყოთ ხალხის წინაშე.

იქნებ გარდაქმნამ იზა აგიაშვილსაც უშველოს!

ოლია რევია

# რჩევები

გაჭუჭყიანებული ტყავის ხელთათმანები გარეცხეთ ცივ, საპნიან წყალში, კარგად გაავლეთ და გაახვიეთ ხაოიან პირსახოცში. როცა შეშრება (ოდნავ ნოტიო), ცოტა ხნით წამოიცვით ხელზე (რათა მიეცეს თითების ფორმა და არ დაპატარავდეს), რამდენიმე წუთის შემდეგ გასაშრობად დაკიდეთ ჩრდილში.

ტყავის ქურთუკის, პალტოს ან ჩანთის გაწმენდა შეიძლება ათქვეფილი ცილით, გლიცერინით ან ლიმონის წვენით. კარგად წმენდს ფორთოხლის კანიც. შეგიძლიათ აგრეთვე, ყავის ნალექი (ოდნავ ტენიანი) მოათავსოთ შალის ან ფლანელის ნაჭერში და იმითი გაწმინდოთ.

თუ ტყავის ხელთათმანები ვიწრო გაქვთ, ცოტა ხნით გაახვიეთ სველ პირსახოცში, შემდეგ წამოიცვით ხელზე და ასე გააშრეთ.

ახალი ფეხსაცმელი თუ გაჭერთ ქუსლზე, შიგნიდან წაუსვით სანთელი ან დაასველეთ სპირტით და ისე ჩაიცვით.

ტყავის სველი ფეხსაცმელი რომ არ გაუხეშდეს, გაშრობის შემდეგ წაუსვით ვაზელინი, 2-3 საათის შემდეგ გაწმინდეთ და გააპრიალეთ, თუ საჭიროა, გაწმინდეთ ემულსიით „შევრო“ და შემდეგ გააპრიალეთ.

შეცვეთილი, ნირშეცვლილი ფეხსაცმელი შეიძლება „განაახლოთ“ სკიპიდრის და რძის ნაზავით (1 ღვინის ჭიქა სკიპიდარს დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი რძე) ამ ხსნარით გაწმენდის შემდეგ წაუსვით ფეხსაცმლის რომელიმე კრემი და გააპრიალეთ.

თ. კახელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკლის სიკეთე

კაკლის წენგოს წვენი ოდითგანვე იხმარებოდა თმის სალებავად. თუ გნებავთ მისცეთ თმას მოწაბლისფერო ბზინვა, 3 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ კაკლის წენგოს ან ამდენსავე ფოთოლს დაასხით ერთი ლიტრა წყალი, ადუღეთ 10 წუთი, გაწურეთ, გააცივეთ 36-40°-დე და ეს ნაყენი გადაივლეთ დაბანილ თმაზე. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ გაამუქოთ ან გაამკრთალოთ ნაყენი (წენგოს მოუმატებთ, ან მოაკლებთ წყალს).

ამავე ნაყენს ივლებენ ყელში ანთებადი პროცესის შემთხვევაში ანდა პირის ღრუში ღრძილების გასამაგრებლად.

ჯერ შემოუსვლელი კაკლის ნაჭუჭი გავახმოთ, დავფქვათ და დანის წვერზე აღებული მცირეოდენი ამ ფხვნილით შეგიძლიათ შეაჩეროთ ცხვირიდან სისხლის დენა, მოაშუშოთ კანზე განაკაწრები.

კონიუქტივიტის შემთხვევაში თვალის კიდოებზე წაისვით ნიგვზის მცირეოდენი ახალგამოხდილი ზეთი. ზეთი დიდად შველის სიდამწვრესა და შეუხორცებელ ჭრილობებსაც.

კანის ჩირქოვანი გამონაყარების, მუწუკების, ეგზემისა და სირსველის შემთხვევებშიც კარგია კაკლის გამხმარი ფოთლების ნახარში (300 გრ ფოთოლი ჩავყაროთ 1 ლიტრ წყალში და ვხარშოთ 20 წუთს. 3-4 საათის შემდეგ გავწუროთ და შევურიოთ აბაზანის წყალს).

ი. ვ. მიჩურინმა კაკალს მომავლის პური უწოდა. რატომ მოხდა ჩვენი ნაცნობი კაკლის ასე განდიდება? იმიტომ, რომ ნიგვზის ლებნები შეიცავს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ ყველა ნივთიერებას: 20%-მდე ცილებს, რომლებიც შეთვისების მხრივ არ ჩამორჩებიან ცხოველურს. 75 პროცენტამდე მაღალკალორიულ ცხიმებს (ნიგოზი კალორიულობით რეკორდსმენია); А, Б, $Б_6$, С, Р ვიტამინებს; მთრთილავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს.

მაღალი ფიტონციდები ფოთოლსაც აქვს — მისი სუნი აფრთხობს ბუზებს და ჩრჩილს. ამიტომაა, რომ ხმელ ფოთლებს აწყობენ ბეწვეულში და შალის ქსოვილებში. ფოთოლს ახმობენ კალის ყვავილობის დროს.

მკურნალობის მიზნით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოიყენება კაკლის ფოთლები, მწვანე ნაყოფი და მისი ნაჭუჭი.

ფოთლების ნახარში რგებს კუჭის აშლილობას, ათეროსკლეროზს, ქრონიკულ ეგზემასა და ნიკრისის ქარს („პოდაგრა"). ავილოთ ერთი სუფრის კოვზი ფოთოლი, ჩავყაროთ ერთ ჩაის ჭიქა წყალში და ვადუღოთ 15 წუთს. ეს ნაყენი შეგიძლიათ მიირთვათ ჩაის მაგივრად — თითო ჩაის ჭიქა 3-ჯერ დღეში. შეიძლება ამავე ნაყენით დაასველოთ საფენი და დაიდოთ თვალზე, თვალის კილოების ანთების დროს, ანდა გაიკეთოთ აბაზანები რევმატიზმის, „პოდაგრის", რაქიტის შემთხვევაში, ხოლო მწვანე, დასრესილი ფოთოლი დაიდოთ ძირმაგარაზე.

შესანიშნავი შედეგი მოგვცა წვრილად დაჭრილმა წენგოიანმა კაკალმა. 7-8 ცალ კაკალს დაჭრით, ჩაყრით მუქმწვანე ფერის ბოთლში და გადგამთ მზეზე ორი კვირით. შავი, სურნელოვანი ნაყენი შველის კუჭის აშლილობას და ეხმარება საჭმლის მონელებას. მიირთმევთ თითო სუფრის კოვზს ჭამის შემდეგ 3-ჯერ დღეში.

კ. სლუცანსკი,

ფიტოთერაპევტი.

ჟურნალი „რაბოტნიცა".

# კული-ნარია

## კაკლის მურაბა

საშუალო სიდიდის (ნედლი, მწვანე) კაკალი გათალეთ, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით ცივი წყალი და ასე გააჩერეთ სამი დღის განმავლობაში (დღეში სამჯერ უცვალეთ წყალი). მეოთხე დღეს თითოეული კაკალი დაჩხვლიტეთ ჩანგლით ან საგანგებოდ გამოთლილი ჩხირით, ჩაყარეთ კირიან წყალში და დატოვეთ შიგ სამი დღე. მეოთხე დღეს კაკალი გარეცხეთ ძალიან კარგად (უმჯობესია გამდინარე წყალში ისე, რომ კირი არ ჩარჩეს ნასვრეტებში), სამი დღე ისევ დატოვეთ სუფთა ცივ წყალში და დღეში სამჯერ კვლავ უცვალეთ წყალი. მეოთხე დღეს კაკალი მოათავსეთ მოსახარშ ქვაბში, დაასხით ბლომად წყალი და ხარშეთ 15 წუთის განმავლობაში; შემდეგ კაკალს გადაიტანეთ შაბიან მდუღარე წყალში და კვლავ ხარშავთ 15 წუთის განმავლობაში. შაბიანი წყლის შემდეგ 5 წუთით უბრალო წყალში წამოადუღეთ, შემდეგ 2 ჭიქა შაქრიან წყალში (ნახევარი საათის განმავლობაში) და ბოლოს, სუფთა ქვაბში ჩაყარეთ ორი კგ შაქარი დაასხით ბლომად წყალი, აადუღეთ და ჩაყარეთ კაკალი მოსახარშად. კაკლის ხარშვის დროს მოათავსეთ ქვაბში პატარა პარკში გამოკრული მიხაკი, დარიჩინი და ილი. ვანილი უყავით გემოვნებით მურაბის მომზადების შემდეგ.

### მასალა კაკლის მურაბისათვის

კაკალი — 100 ცალი, კირი — 500 გრ, შაქარი — 2 კგ და 2 ჭიქა, შაბი — 1 სუფრის კოვზი (დაფხვნილი), დარიჩინი — 2 ჩაის კოვზი (დანაყული), მიხაკი — 10 მარცვალი, ილი 5 მარცვალი, ვანილი გემოვნებით.

## ლიმონის ნამცხვარი

200 გრ შერბილებულ კარაქს შევურიოთ 1/2 ჩაის ჭიქა არაჟანი ან მაწონი და 1/2 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, შემდეგ თანდათან შევაზილოთ 2 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი (ან ოდნავ მეტი, ისე რომ ცომი ფაფუკი გამოვიდეს). მიღებული ცომი გავყოთ ორ ტოლ ნაწილად, თითოეული გავაბრტყელოთ მივცეთ სასურველი ფორმა (ოთხკუთხედი ან მრგვალი). ფენასა და ფენას შუა მოვათავსოთ 1/2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილთან შერეული 1 ცალი გახეხილი ლიმონი (კანიან-გულიანად); ცომს გვერდები ლამაზად შემოვუკეცოთ, რომ ლიმონის სართავი გარეთ არ გამოვიდეს.

გამოვაცხოთ გაზქურის ტაფაზე, ძალიან ნელ ცეცხლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოუმზადეთ პატარებს

## ფხვიერი ნამცხვარი

მასალა: 1 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის ფქვილი, 500 გრ შაქრის ფხვნილი, 300 გრ კარაქი, 5—6 ცალი კვერცხი, 1 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, მცირეოდენი მარილი და ვანილი.

მოამზადეთ გოგლი-მოგლი, დაუმატეთ ვანილი, მარილი, სოდა, ოთახის ტემპერატურაზე კარგად დარბილებული, ათქვეფილი კარაქი, აურიეთ ერთმანეთში და ნელ-ნელა შეაზილეთ ფქვილი (უმჯობესია ხელით). მიღებული ცომი გააბრტყელეთ 1 სმ სისქეზე, დაჭერით მრგვალად ან ოთხკუთხედად, დააწყვეთ წინასწარ გამთბარ და ცხიმმოსმულ გაზქურის ტაფაზე და შედგით გამოსაცხობად საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე. ნამცხვარი კარგად ინახება ქვაბში ან პოლიეთილენის პარკში.

რ. ნაცვლიშვილი

## რძის წვნიანი კერძი

1 სუფრის კოვზი გარეცხილი ბრინჯი ჩაყარეთ 200 გრ მდუღარე წყალში, მოხარშეთ, დაუმატეთ 200 გრ აუდუღარი რძე, კვლავ წამოდუღების შემდეგ შეაზავეთ 10 გრ მარილით. თეფშზე გადმოღებისას დაუმატეთ 10 გრ კარაქი.

## კატლეტი ხორცით და კარტოფილით

100 გრ მოხარშული ხორცი და 200 გრ კარტოფილი გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში, დაუმატეთ ნახევარი უმი კვერცხი, 10 გრ ცხიმში მოშუშული 1 თავი (25 გრ) ხახვი, 5 გრ მარილი, კარგად აურიეთ და კვლავ გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში: მიღებული მასა გაყავით რამდენიმე ტოლ ნაწილად, ამოავლეთ დაფხვნილ ორცხობილაში, მიეცით კატლეტის ფორმა და შეწვით ცხიმიან ტაფაზე. შემდეგ დაახურეთ თავზე და დატოვეთ ძალზე ნელ ცეცხლზე 10 წუთის განმავლობაში. თეფშზე გადმოღებისას მოასხით არაჟანი.

### შეცდომის გასწორება

1988 წლის მე-4 ნომერში, მე-3 გვერდის მე-4 აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „გახსოვთ, ნიკო ლომოურის ლექსი „ყინვა და პატარა მოწაფე?"

# „ირიდა"

განა არსებობს მოდისადმი გულგრილი ქალი? — არა მგონია. ყველაზე მოუცლელ ქალსაც კი წაუცდება ხელი მოდების ჟურნალისაკენ, წამით მაინც შეჩერდება მოდების დემონსტრირებისას, თუნდაც ძალიან ეჩქარებოდეს.

ალბათ ქალებმა უკვე იციან, რომ თბილისში, წერეთლის პროსპექტის მეთორმეტე სახლში გაიხსნა კოოპერატივი „ირიდა". (ამჯერად მოდამ ცისარტყელას მითოლოგიური სახელწოდება აირჩია).

კოოპერატივის თავმჯდომარე გახლავთ ხათუნა ჯაფარიძე, მის გვერდით დგანან თანაკურსელები — მხატვარ-მოდელიორები მაკა ნაცვლიშვილი და დიმა კობახიძე. მათთან ერთად მოღვაწეობს ორი კონსტრუქტორ-მოდელიორი, ოცი მკერავი, ათი მქსოველი და მოდების ცხრა დემონსტრატორი გოგონა. ოფიციალურად ისინი ოცდაერთნი არიან. რამდენიმე თანამშრომელი ხელშეკრულებითაა გაფორმებული.

აი, ასე აუხდა სურვილი სამ მეგობარ მხატვარ-მოდელიორს, — ჰქონოდათ პატარა სალონი თავიანთი მოდელების დემონსტრირებისათვის. მათ მხარში ამოუდგნენ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, პირველი მაისის ალმასკომი და რაიონული კომიტეტი, ქალაქის საბჭო, გაერთიანება „თბილტანსაცმელი", რომელმაც ათი საკერავი მანქანა გადასცა „ირიდას".

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სიკეთე, რაც ახალ კოოპერატივს არქიტექტორ დიზაინერთა კოოპერატივ „იერთან" ხელშეკრულებამ მოუტანა. პროექტის ავტორებმა თემურ გაბუნიამ და გია აბულაძემ მართლაც ლამაზი და მყუდრო საბრძანებელი შეუქმნეს მოდას, მათი პროექტის ხორცშესხმაში დიდი წვლილი შეიტანეს მშენებლებმა ბორის კინწურაშვილის ხელმძღვანელობით.

„ირიდა" ა/წ 26 იანვარს გაიხსნა და ერთ თვეში დაფარა მოკლევადიანი სესხი, ნავაჭრმა 22000 მანეთი შეადგინა. კოოპერატივის ეკონომიკას ეკონომისტი ლია ჯაფარიძე განაგებს.

ფართო სარბიელი მიეცა მხატვარ-მოდელიორთა ფანტაზიას, ძიებასა და მონდომებას. ახალგაზრდები შემოქმედებით სიამოვნებასა და კმაყოფილებას განიცდიან, როცა მათი ნახელავი უმალ იყიდება. მერე რა, რომ ხშირად გვიან ღამემდე სხედან, ბჭობენ, ასწორებენ, კამათობენ. ხუმრობა ხომ არ არის თვეში 70-80 მოდელის დამუშავება, თან ყოველი მოდელი განუმეორებელია, სტილიც სხვადასხვაა, ყველა ზომას თავისი მოდელი აქვს.

რა თქმა უნდა, პრობლემებიც გააჩნიათ: თუნდაც მომარაგება. კოოპერატივის წევრები თვითონ მოგზაურობენ, რომ შეიძინონ ქსოვილების პატარ-პატარა პარტიები, ღილებიც ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია მათთვის. ამას წინათ ერევანში ჩავიდნენ „ზმეიკის" შესაძენად.

გაზრდილი მოთხოვნილება თავისთავად წარმოშობს წარმოების გაფართოების საჭიროებას. გარდა ამისა, კარგი იქნება კონტაქტების დამყარება სხვა რესპუბლიკების ფირმებთან, გამოცდილების გაზიარება, მოდელების გაცვლა-გამოცვლა. უნდა გაუმჯობესდეს მომარაგება, საჭიროა შემოიკრიბონ მაღალკვალიფიციური კადრებიც, რომ ყოველი ნაწარმის ხარისხი უპრეტენზიო იყოს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოდელების ფასები საკმაოდ მაღალია (საშუალოდ 200 მანეთი).

მხატვარ-მოდელიორებს საინტერესო მიზნები აქვთ — ფიქრობენ შექმნან ტანსაცმლის კომპლექტები (კაბა, ლაბადა, ჩანთა, ფეხსაცმელი, ბიჟუტერია). ამისათვის კი საჭიროა მჭიდრო კავშირი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და რაც მთავარია, საჭიროა გულიანი მუშაობა, საქმის სიყვარული.

„ირიდა" ქალებთან ერთად ხალისით ემსახურება ბავშვებსა და მამაკაცებს, რომლებიც აქტიური მყიდველები არიან, თუმცა არც ჭირვეულობა აკლიათ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბავშვის ტანსაცმელზე.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის —





შალვა გოქაძის ფოტოები





გემოვნებით მოწყობილ, ფართო, ნათელ ინტერიერში გამოუფენიათ ფერად-ფერადი, უზადოდ შეკერილი ტანსაცმელი. ირგვლივ ცისარტყელას ფართო თვალისმომჭრელი ფეიერვერკია. მოხდენილი გოგონები უამრავ სტუმარს ახალ მოდებს უჩვენებენ. იქვე თავაზიანად უხსნიან მომხმარებლებს, როგორი ფერი ან სტილი შეეფერებათ, სტუმრები კმაყოფილი და ხელდამშვენებულნი სტოვებენ დარბაზს. ჟღერს მუსიკა, გოგონები ყავითა და ნამცხვრით უმასპინძლდებიან მომსვლელთ. აქ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც შეეფერება პირველ ქალბატონ „მოდას“.

ი. მიქაძე



რუსუდან ფეტვიაშვილი (6 წლის)



ჯუმბერ ვაშაკიძე (9 წლის)



ეკატერინე შამუგია (8 წლის)

# რეტრო-88

მანანა ჯანიაშვილი (7 წლის)





ქეთინო მიქელაძე (10 წლის)

ფასი 40 კაპ.